



ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

## საქართველო

საპრეზიდენტო არჩევნები  
2013 წლის 27 ოქტომბერი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის  
უფლებების ოფისის არჩევნებზე  
სადამკვირვებლო მისიის  
საბოლოო ანგარიში



ვარშავა  
2014 წლის 14 იანვარი

## შინაარსი

I.	რეზიუმე.....	1
II.	შესავალი და მადლობები .....	4
III.	წინა ისტორია.....	5
IV.	საარჩევნო სისტემა .....	6
V.	საკანონმდებლო სტრუქტურა.....	7
VI.	საარჩევნო ადმინისტრაცია.....	9
VII.	ამომრჩევლების რეგისტრაცია.....	11
VIII.	კანდიდატების რეგისტრაცია.....	13
IX.	საარჩევნო კამპანია.....	15
X.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება .....	19
XI.	მედია .....	23
	A. მედია გარემო.....	23
	B. საკანონმდებლო ბაზა.....	23
	C. მედია მონიტორინგის შედეგები.....	26
XII.	საჩივრები და აპელაციები .....	29
XIII.	ეროვნული უმცირესობების ჩართულობა.....	32
XIV.	არჩევნების დღე .....	33
	A. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი.....	34
	B. ხმების დათვლა .....	36
	C. ხმების შეჯამება.....	36
XV.	არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები .....	37
	A. არჩევნების დღეს შეტანილი საჩივრები და აპელაციები .....	37
	B. შედეგების გამოცხადება .....	38
XVI.	რეკომენდაციები.....	38
	A. პრიორიტეტული რეკომენდაციები.....	39
	B. სხვა რეკომენდაციები .....	40
	დანართი: საბოლოო შედეგები .....	43
	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ .....	44

საქართველო  
საპრეზიდენტო არჩევნები  
2013 წლის 27 ოქტომბერი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე  
სადამკვირვებლო მისიის საბოლოო  
ანგარიში<sup>1</sup>

## I. რეზიუმე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით 2013 წლის 19 სექტემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR) 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (EOM) განათავსა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა შეაფასა საარჩევნო პროცესი რათა დაედგინა თუ რამდენად შეესაბამებოდა ის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. არჩევნების დღეზე დაკვირვებისთვის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გააერთიანა ძალები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციებთან.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ეფექტურად ადმინისტრირებული და გამჭვირვალე იყო, არჩევნები მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში გაიმართა. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას სიტყვის, გადაადგილებისა და შეკრების ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო და კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი კამპანია თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ჩაეტარებიათ. მოცემულ არჩევნებზე მედია ნაკლებად პოლარიზებული იყო ვიდრე 2012 წლის არჩევნების დროს, მედიით მოსაზრებათა ფართო სპექტრი შუქდებოდა. არჩევნების დღეს ამომრჩევლებს საკუთარი არჩევანის თავისუფლად გაკეთების საშუალება ჰქონდათ.

საარჩევნო კანონმდებლობა ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის ჯანსაღ საკანონმდებლო ბაზას უზრუნველყოფს. არჩევნებამდე საარჩევნო კანონმდებლობაში მრავალი ტექნიკური შესწორება და ცვლილება შევიდა. მათი უმრავლესობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის რეკომენდაციების გათვალისწინებით იყო მიღებული. თუმცა, საარჩევნო კოდექსის რამოდენიმე დებულება კვლავაც ბუნდოვანია და მათი თანმიმდევრულად გამოყენება არ მომხდარა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოცდასამი საპრეზიდენტო კანდიდატი გამჭვირვალედ და ინკლუზიურად დაარეგისტრირა. 24 კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. აქედან ოთხმა კანდიდატმა გაასაჩივრა ცესკოს უარი რეგისტრაციაზე, რომელიც ეფუძნებოდა მათ ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც კარგი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლოა ზედმეტად შემზღვეველ გადაწყვეტილებად იქნას ჩათვლილი.

<sup>1</sup> ამ ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ასევე ხელმისაწვდომია ანგარიშის არაოფიციალური ქართული თარგმანი.

ორგანიზაციები და პირები, რომელთანაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ჰქონდა ურთიერთობა, აღნიშნავენ, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილებოდა და ის აშკარად უფრო მშვიდი იყო. თუმცა, საარჩევნო კამპანიის გარემოზე უარყოფითად იმოქმედა სხვადასხვა ბრალდებებმა, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებზე პოლიტიკურ ზეწოლასთან დაკავშირებით. საარჩევნო კამპანია პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს შორის პირდაპირი დაპირისპირებიდან, რომელმაც პოლიტიკური სცენა დაჩრდილა, თანდათანობით ძირითად კანდიდატებს შორის შეჯიბრში გადაიზარდა. ამის მიუხედავად, მთელი კამპანიის მსვლელობისას პერსონიფიცირებული პოლიტიკა საჯარო დებატების დროს კვლავაც დომინირებდა.

კანდიდატთა სიმრავლის მიუხედავად წინასაარჩევნო კამპანიას დინამიურობა აკლდა, კანდიდატთა ძირითადი ნაწილი ყურადღებას კამპანიის კარდაკარის პრინციპით ჩატარებაზე ამახვილებდა. ის მიტინგები, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მონიტორინგს დაექვემდებარა, ზოგადად მოწესრიგებულად და მშვიდობიანად მიმდინარეობდა, იყო მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევა როდესაც უცენზურო გამონათქვამებს ჰქონდა ადგილი. ამ კამპანიის განმავლობაში ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება მთავარი ფაქტორი არ ყოფილა, თუმცა ადგილობრივმა დამკვირვებლებმა უფლებამოსილების არმქონე პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების და ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე ინფორმაცია გაავრცელეს.

სხვადასხვა თოქ-შოუებისა, ახალი ამბების გამოშვებების და უფასო ეთერის მეშვეობით ამომრჩევლებს მრავალფეროვან შეხედულებებზე და ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებოდა. უფასო საეთერო დროის გამოყენებამ კანდიდატებს საშუალება მისცა თავისუფლად წარმოედგინათ საკუთარი პროგრამები და ხედვები. იმის მიუხედავად, რომ უფასო საეთერო დრო მხოლოდ რამოდენიმე კვალიფიცირებულ კანდიდატს ჰქონდა, ძირითადი მედია საშუალებები ყველა მთავარი კანდიდატის საარჩევნო კამპანიას აშუქებდნენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატებს დამოუკიდებელ კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა გააჩნდათ, რადგან მედია საშუალებები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ძირითადი პოლიტიკური პარტიების საქმიანობას და არა თავად კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიას.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში სამი ქალი კანდიდატი მონაწილეობდა, მხოლოდ ერთმა მათგანმა დაიკავა თვალსაჩინო ადგილი საარჩევნო კამპანიაში. ზოგადად კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია და პლატფორმა კონკრეტულად ქალებისთვის მნიშვნელოვან თემატიკას არ განიხილავდა, კანდიდატთა საარჩევნო პლატფორმები ძირითადად ქართულ ოჯახში ქალთა ტრადიციულ როლს უსვამდნენ ხაზს.

მთლიანობაში, ქალები კარგად იყვნენ წარმოდგენილნი საარჩევნო ადმინისტრაციაში და მათ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 56% და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 65% შეადგინეს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთხი წევრი ქალია, მათ შორის თავმჯდომარეც.

ცესკომ არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად, გამჭვირვალედ და ყველა ვადის დაცვით წარუძღვა, ცესკოს მიმართ ყველა დაინტერესებული მხარის ნდობა მაღალი იყო. ცესკოს სხდომები ღია იყო დამკვირვებლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და მედიისთვის. გადაწყვეტილებების მიღებამდე ცესკო ჩართული იყო ინკლუზიურ განხილვებში დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა თავიანთი მოვალეობები კომპეტენტურად შეასრულეს და მათ არჩევნებისთვის მზადებისას რაიმე სერიოზული სირთულე არ ჰქონიათ. ქართული ოცნების კოალიციის წევრი პარტიების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საარჩევნო კომისიებში ექვსი წევრის დანიშვნამ, მაშინ როცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კომისიებში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის საშუალება ჰქონდა, საარჩევნო სუბიექტებში შემფოთება გამოიწვია, რადგან მათი აზრით ამით ქართული ოცნების კოალიცია საარჩევნო კომისიებში ზედმეტად იქნებოდა წარმოდგენილი.

მთლიანობაში, ამომრჩეველთა სიის მიმართ ნდობა არსებობდა. აგვისტოში ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობა ამოღებული იქნა ამომრჩეველთა საერთო სიიდან მათ შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის ქონის, ან მისამართის არასწორად მითითების საფუძველზე. არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დროის გამო ამ ამომრჩეველთა მხოლოდ მცირე რაოდენობის ხელახლა რეგისტრაცია და საარჩევნო სიებში ჩასმა მოხერხდა.

არჩევნებამდე ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიებში ოფიციალური პირების მიერ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის, პოსტერების დაზიანების, პარტიების აქტივისტების შევიწროვების, საუბნო საარჩევნო კომისიებში მთავარი თანამდებობების განაწილების და ამომრჩეველთა მოსყიდვის თაობაზე მრავალი საჩივარი იქნა წარდგენილი, თუმცა მათი უმრავლესობა უარყოფილი იქნა. საჩივრები ასევე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათშორის კომისიაშიც იქნა შეტანილი, რომელმაც ამ საჩივრებთან დაკავშირებით არასავალდებულო რეკომენდაციები გამოსცა. მთლიანობაში საჩივრების უმრავლესობა არ ყოფილა იმ ორგანოებში წარდგენილი, რომლებსაც საერთაშორისო ვალდებულებების და კარგი პრაქტიკის შესაბამისად სანქციების დაწესების და დავების ეფექტურად გადაწყვეტის კომპეტენცია გააჩნდათ.

მთლიანობაში, არსებული საკანონმდებლო ბაზის სწორად შესრულების შემთხვევაში (რომელიც პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას არეგულირებს), კანონიერების და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა ეფექტურად არის შესაძლებელი. თუმცა, დარღვევებზე რეაგირებისთვის კონკრეტული საბოლოო ვადების არ არსებობა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესაბამისი ზომების შეზღუდულად გატარებამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეებში წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობასთან დაკავშირებით გარკვეული შემფოთება გამოიწვია.

მთლიანობაში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის შეფასებით წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგი ძირითადად არასაკმარისად და ფორმალურად ტარდებოდა.

საარჩევნო დღეს განხორციელებული პროცესები პროფესიონალურად და გამჭირვალედ შეფასდა. საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ საარჩევნო უბნების გახსნის, ხმის მიცემის, დათვლის და შეჯამების შეფასება დადებითი იყო. საერთაშორისო დამკვირვებლებმა გარკვეული საპროცედურო დარღვევები დააფიქსირეს, თუმცა ეს დარღვევები არ ყოფილა ფართომასშტაბიანი ან სისტემატური.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ დაფიქსირებული მთავარი პრობლემა საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლების უფრო მეტი რაოდენობით ყოფნა იყო, ვიდრე ეს კანონით იყო დართული, გარდა ამისა ზოგიერთ შემთხვევაში ეს დამკვირვებლები საარჩევნო პროცესში ერეოდნენ. ამ ყველაფერს ზოგიერთი საარჩევნო უბნის თავმჯდომარეების და წევრების გამოუცდელობა ემატებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საარჩევნო პროცესის ხელშესაწყობად და არჩევნებზე მონიტორინგის განსახორციელებლად გარკვეული სამუშაოები აწარმოეს. დიდი რაოდენობით ადგილობრივი დამკვირვებლების და ჯგუფების საარჩევნო პროცესში ჩართულობამ ზოგადად არჩევნების გამჭირვალეობა გაზარდა.

ცესკომ არჩევნების შედეგების გამოცხადება არჩევნების ღამეს დაიწყო და ვებ-გვერდზე შედეგები ოლქებისა და უბნების მიხედვით განათავსა. ეს გამჭირვალეობის კიდევ უფრო გაზრდის კუთხით დადებითი ნაბიჯი გახლდათ.

არჩევნების დღეს და მის შემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიებში 320 საჩივარი იქნა შეტანილი. საჩივრების უმრავლესობა საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი ოქმების არასრულად შევსებასთან, მათ არასწორად ხელმოწერასთან და მათზე ბეჭდის არასწორად დასმასთან იყო დაკავშირებული. აქედან დაახლოებით 100 საჩივარი იქნა დაკმაყოფილებული, რის შედეგადაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა გაფრთხილება მიიღეს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ ხელფასის 30% დაეჭვითათ. დაახლოებით 30 საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების გაუქმებას ეხებოდა, აქედან ერთის გარდა ყველა საჩივარი იქნა უარყოფილი. გარდა ამისა, სამი საჩივარი სასამართლოში იქნა შეტანილი, აქედან ერთი დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც სამი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები იქნა გაუქმებული.

ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები 12 ნოემბერს შეაჯამა და გამოაქვეყნა, ხოლო 17 ნოემბერს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართა.

## II. შესავალი და მადლობები

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევის შედეგად,

რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან იქნა მიღებული და საკუთარი მანდატის შესაბამისად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია 19 სექტემბერს განაღვა. მისიაში, რომელსაც მატეო მეკაჩი ხელმძღვანელობდა, თბილისში მომუშავე 16 საერთაშორისო ექსპერტი და მთელი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 28 გრძელვადიანი დამკვირვებლები შედიოდა. მისიის წევრები ეუთოს 24 წევრი სახელმწიფოდან იქნა შერჩეული.

არჩევნების დღეზე დაკვირვების მიზნით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის, და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციებთან გააერთიანა ძალები. მთლიანობაში არჩევნებზე დასაკვირვებლად 45 ქვეყნის წარმომადგენელი 401 დამკვირვებელი იქნა განთავსებული.

მოხდა იმის შეფასება თუ რამდენად შეესაბამებოდა არჩევნები დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ეუთოს და სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. წინამდებარე საბოლოო ანგარიში 2013 წლის 28 ოქტომბერს თბილისში გამართული პრეს-კონფერენციის დროს გამოქვეყნებულ „განცხადება წინასწარი მონაცემების და დასკვნების შესახებ“-ს ეყრდნობა.<sup>2</sup>

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის, გარდა ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს მადლობა გადაუხადოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტს, უზენაეს სასამართლოს, უწყებათშორისკომისიას და სხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მათ მიერ გაწეული დახმარებისა და კოორდინაციისთვის. გარდა ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს გამოხატოს მადლიერება საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების მიმართ მათი თანამშრომლობისთვის. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს მადლობა უთხრას ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

### III. წინა ისტორია

4 ივლისს საკანონმდებლო და საკონსტიტუციო მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 27 ოქტომბერი

<sup>2</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მანამდე გამოქვეყნებული ყველა ანგარიშის სანახავად ეწვიეთ: <http://www.osce.org/odihr/elections/georgia>.

გამოაცხადა. მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომლებიც ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შევიდა ძალაში, მნიშვნელოვნად შეზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილება პრემიერმინისტრისა და პარლამენტის სასარგებლოდ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, წინასაარჩევნო კამპანია მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ და შესაბამისად მათ პარტიულ ლიდერებს შორის დაძაბული კოჭაბიტაციის ფონზე მიმდინარეობდა. ამას თან დაემატა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამოდენიმე ოფიციალური პირის დაპატიმრება და მათთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, მათ შორის პარტიის გენერალური მდივნის დაპატიმრება, რომელიც ამ პარტიის საპრეზიდენტო კამპანიის წარმართვაზე იყო პასუხისმგებელი. უფრო მეტიც, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ადგილობრივ დონეებზე პარტიების წარმომადგენლობის მხრივ მრავალ ცვლილებას ჰქონდა ადგილი. იმ დროს როცა არჩევნებამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველა 69 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აკონტროლებდა, 2013 წლის 3 აგვისტოსთვის 55 გამგებლის და 31 საკრებულოს თავმჯდომარის გამოცვლა მოხდა, რაც ან მათი გადადგომით ან გადაყენებით მეშვეობით განხორციელდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბევრი საკრებულოს წევრი ქართულ ოცნებას შეუერთდა ან საკუთარი თავი დამოუკიდებელ წევრებად გამოაცხადეს. გარდა ამისა მოხდა გარკვეული რაოდენობის ადგილობრივი საჯარო მოხელეების გადადგომა ან გადაყენება, რომლებიც საბოლოო ჯამში კადრების შერჩევის შედეგად ქართული ოცნების მომხრეებით იყვნენ ჩანაცვლებული, აღნიშნული კადრების შერჩევის პროცესი ზოგიერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამჭირვალეობის ნაკლებობის გამო იქნა გაკრიტიკებული.<sup>3</sup>

#### IV. საარჩევნო სისტემა

პრეზიდენტი პირდაპირი არჩევნებით, ხუთწლიანი ვადით აირჩევა. არჩევნების პირველივე ტურში გასამარჯვებლად, კანდიდატმა ნამდვილად მიჩნეული ხმების 50 პროცენტზე მეტი უნდა დააგროვოს. სხვა შემთხვევაში, მეორე ტური ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში ინიშნება და მასში მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მათგან არჩეულად ჩაითვლება ის, ვინც მეორე ტურში ხმების უმრავლესობას მიიღებს. კანონი არაფერს ამბობს რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მეორე ტურის გამართვამდე რომელიმე კანდიდატი საკუთარ კანდიდატურას მოხსნის.<sup>4</sup> ცესკომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში თუ რომელიმე კანდიდატი საკუთარ კანდიდატურას მოხსნის,

<sup>3</sup> იხილეთ საერთაშორისო გამჭირვალეობა-საქართველოს და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში მომხდარი ცვლილებების შესახებ მომზადებული ანგარიშები.

<sup>4</sup> ამგვარი სცენარის განვითარების შესაძლებლობა მას შემდეგ გაჩნდა რაც ქართული ოცნების კანდიდატმა არჩევნების პირველი რაუნდის ჩატარებამდე 10 დღით ადრე განაცხადა, რომ მეორე ტურის ჩატარების შემთხვევაში იგი საკუთარ კანდიდატურას არჩევნებიდან მოხსნიდა.



მაშინ არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას და იგი არჩეულად ჩაითვლება იმისდა მიუხედავად თუ როგორი იქნება ამომრჩეველთა აქტიურობა და რამდენ ხმას დააგროვებს ის.

*სასურველია რომ მოხდეს კანონში ცვლილებების შეტანა რათა მეორე ტურის გამართვის დროს ერთერთი კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურები იქნას განსაზღვრული.*

## V. საკანონმდებლო სტრუქტურა

საპრეზიდენტო არჩევნები ძირითადად კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსით და კანონით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ) რეგულირდება.<sup>5</sup> საარჩევნო სამართლებლივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. 2013 წელს, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მრავალი ტექნიკური ცვლილება იქნა შეტანილი საარჩევნო კანონმდებლობაში, რომლებმაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების უმრავლესობა დააკმაყოფილა. აღნიშნული ცვლილებები პარლამენტში კონსენსუსით იქნა მიღებული და მათში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების უმრავლესობა იქნა გათვალისწინებული.<sup>6</sup>

2013 წლის აგვისტოში ძალაში შესულმა ცვლილებებით საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება მოხდა. ამ ცვლილებებს შორის იყო განმარტებები და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის შემცირებისკენ მიმართული გარანტიები; დებულებები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას უფრო მეტად თანასწორი პირობების შექმნაზე იყო მიმართული, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ შეუთავსებელი თანამდებობიდან გადადგომის ვალდებულება; საარჩევნო კომისიების ფორმირების წესს დამატებითი რეგულაციები დაემატა, გარდა ამისა ცვლილებები შევიდა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესებში. ამას გარდა, საარჩევნო კოდექსში მოცემულ დებულებებში სიცხადის კიდევ უფრო მეტად შესატანად, ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ

<sup>5</sup> სხვა შესაბამისი კანონებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ და კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

<sup>6</sup> მაგალითად სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA).

(რომლებთანაც ჩვენ ურთიერთობა გვქონდა) ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.<sup>7</sup>

ზოგიერთ საარჩევნო სუბიექტს და დაინტერესებულ მხარეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს არასაკმარისად ესმოდათ ზოგიერთი იურიდიული დებულება, მათ შორის მათ არ იცოდნენ შეეძლოთ თუ არა წინასაარჩევნო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ისეთ ოფიციალურ პირებს, რომლებსაც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ან ამგვარი კამპანიის წარმართვის უფლება კანონით არ გააჩნდათ, მათ ასევე არ იცოდნენ ჰქონდათ თუ არა უფლება პოლიციელებს წინასაარჩევნო ღონისძიებებზე დასწრების უფლება და თუ ჰქონდათ მაშინ რა პირობებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე სხვადასხვა ინსტრუქციების გაცემა მოხდა. უწყებათშორისმა კომისიამ არასავალდებულო რეკომენდაცია გამოსცა, რომლის მიხედვითაც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე პასიური დასწრება საჯარო მოხელეებისთვის არ იყო აკრძალული.<sup>8</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი ინსტრუქცია გამოსცა, რომელთა მიხედვით პოლიციელებს ამგვარ ღონისძიებებზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობებს არ ასრულებდნენ და პოლიციელის ფორმა არ ეცვათ.<sup>9</sup> ერთერთ ასეთ შემთხვევაში ზუგდიდის რაიონულმა

<sup>7</sup> ხელმოწერთა შორის იყვნენ ცესკო, უწყებათშორისი კომისია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი და ახალი თაობა ახალი ინიციატივა. მემორანდუმის მიზანი იყო საარჩევნო კოდექსის 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების ინტერპრეტირება.

<sup>8</sup> უწყებათშორისი კომისიის მუშაობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ საჩივრების და აპელაციების განყოფილება.

<sup>9</sup> კონსტიტუციის 25-ე მუხლის და კანონის შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ 1.2-ე მუხლის მიხედვით სამხედრო ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებს (მათ შორის პოლიციელებს) შეკრების უფლება არ გააჩნიათ. გარდა ამისა საარჩევნო კოდექსის 45.4-ე მუხლის მიხედვით, მათ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის და მასში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის 11-ე მუხლის მიხედვით, შეკრებების და გაერთიანებების თავისუფლების კანონიერი შეზღუდვის საფუძველი შეიძლება არსებობდეს თუ ეს შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას ან სახელმწიფოს ადმინისტრაციის წევრებს ეხება. ასევე იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისიის) მიერ შედგენილი „სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ“ (მეორე გამოცემა) ([www.osce.org/odihr/73405](http://www.osce.org/odihr/73405)), რომელშიც აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით არ უნდა იყოს შეზღუდული სამართალდამცავთა (მათ შორის პოლიციელთა და სამხედროთა) ან სახელმწიფო ოფიციალური პირების შეკრების თავისუფლება თუ ეს შეზღუდვა მათი მოვალეობების აღსრულებასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული და ამ შემთხვევაშიც აღნიშნული შეზღუდვა ზუსტად იმ ხარისხის უნდა იყოს, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია მათი პროფესიური მოვალეობების აღსრულებიდან გამომდინარე.

სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციელებს წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება არ ეკრძალებოდათ რადგან ისინი სამსახურეობრივ მოვალეობებს არ ასრულებდნენ.<sup>10</sup>

*სასურველია რომ კანონმდებლობაში ნათლად განისაზღვროს შეიძლება თუ არა საჯარო პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში პასიური მონაწილეობა წინასაარჩევნო აქტივობის ფორმად იქნას ჩათვლილი და ასევე განისაზღვროს აქვთ თუ არა პოლიციელებს ამგვარ ღონისძიებებზე დასწრების უფლება და თუ აქვთ რა პირობებით შეუძლიათ მათ ამის გაკეთება.*

## VI. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ორგანიზება მოხდა სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. გარდა ამისა სამხედრო ნაწილებში, საავადმყოფოებში, პენიტენციურ სისტემის დაწესებულებებში 34 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა; 52 საარჩევნო უბანი იქნა შექმნილი უცხოეთის ქვეყნებში მდებარე საკონსულოებში და დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, რათა უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ჰქონოდათ.<sup>11</sup>

ყველა დონეზე საარჩევნო კომისიები 13 წევრისგან შედგება, აქედან 7 წევრი სახელდება კვალიფიცირებული პოლიტიკური პარტიების მიერ.<sup>12</sup> პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრის გარდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთი წევრი პარლამენტის მიერ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ინიშნება, ხოლო მეექვსე წევრის - ცესკოს თავმჯდომარის შესარჩევად დამატებითი პროცედურები მოქმედებს. საჯარო განხილვების შემდეგ ამჟამინდელი ცესკოს თავმჯდომარე 2013 წლის 11 სექტემბერს იქნა არჩეული.<sup>13</sup> ცესკოს წევრები ხუთწლიანი ვადით ინიშნებიან.

<sup>10</sup> 2013 წლის 27 აპრილის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს სამტრედიის რაიონული სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით კანონი მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ზღუდავდა, ხოლო წინასაარჩევნო ღონისძიებებში პასიური მონაწილეობა ნებადართული იყო.

<sup>11</sup> რუსეთის ფედერაციაში საარჩევნო უბნები არ გახსნილა რადგან ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები.

<sup>12</sup> ყველაზე დიდი სახელმწიფო დაფინანსება შემდეგმა პარტიებმა მიიღეს: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და ეროვნული ფორუმი.

<sup>13</sup> ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე თანამდებობიდან აგვისტოში გადადგა რათა მონაწილეობა მიეღო საპრეზიდენტო არჩევნებში.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დანარჩენ ექვს წევრს (პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების გარდა) უფრო მაღალი დონის შესაბამისი საარჩევნო კომისიები საჯარო კონკურსის შედეგად ნიშნავენ, ისინი ხუთწლიანი ვადით ინიშნებიან. პარტიების მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები და ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები მხოლოდ საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ინიშნებიან.

ქართული ოცნების კოალიციის წევრი პარტიების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საარჩევნო კომისიებში ექვსი წევრის დანიშვნამ, მაშინ როცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კომისიებში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის საშუალება ჰქონდა, საარჩევნო სუბიექტებში შემფოთება გამოიწვია, რადგან მათი აზრით ამით ქართული ოცნების კოალიცია საარჩევნო კომისიებში ზედმეტად იქნებოდა წარმოდგენილი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მდივნის თანამდებობები კანონმდებლობაზე დაყრდნობით იქნა გადანაწილებული.<sup>14</sup> 2,751 საუბნო საარჩევნო კომისიაში თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავეს პირებმა, რომლებიც დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ. თუმცა, იმ დანარჩენ უბნებზე, სადაც თავმჯდომარეები პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი პირები იყვნენ, ამ თანამდებობაზე ქართული ოცნების წარმომადგენელთა რაოდენობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების რაოდენობას აჭარბებდა. იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის თანამდებობებთან დაკავშირებითაც.<sup>15</sup>

ცესკოს 13 წევრიდან ოთხი ქალბატონი იყო, მათ შორის თავმჯდომარეც. უფრო დაბალ საფეხურებზე ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა დაახლოებით 56%-ს შეადგენდნენ, რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს, ამ თანამდებობაზე მყოფი პირების 24% ქალი იყო. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 65%-ს ქალები წარმოადგენდნენ, ხოლო 53% საუბნო საარჩევნო კომისიებს ქალები თავმჯდომარეობდნენ.

ცესკომ არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად, გამჭირვალედ და ყველა ვადის დაცვით წარუძღვა, ცესკოს მიმართ ყველა დაინტერესებული მხარის ნდობა მაღალი იყო. ცესკოს სხდომები ღია იყო დამკვირვებლებისთვის, არასამთავრობო

<sup>14</sup> კანონის მიხედვით თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე „საარჩევნო სუბიექტიდან“, საარჩევნო კოდექსის მიხედვით „საარჩევნო სუბიექტი“ ნიშნავს პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო ბლოკს, კანდიდატს და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს (დამოუკიდებელი კანდიდატი). 37 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის შედეგები გაუქმდა, რადგან ამ კომისიებში აღნიშნული დებულება არ იყო შესრულებული. ამის შემდეგ აღნიშნულ თანამდებობებზე არსებული პირები შეცვლილი იქნა და სხდომები თავიდან იქნა გამართული.

<sup>15</sup> მათ შორის იყვნენ 881 თავმჯდომარე ქართული ოცნებიდან და 23 თავმჯდომარე ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან; 920 თავმჯდომარის მოადგილე ქართული ოცნებიდან და 99 თავმჯდომარის მოადგილე ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან; 738 მდივანი ქართული ოცნებიდან და 163 მდივანი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან.

ორგანიზაციებისთვის და მედიისთვის. გადაწყვეტილებების მიღებამდე ცესკო ჩართული იყო ინკლუზიურ განხილვებში დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა. ცესკოს ვებსაიტზე ცესკოს სხდომების ოქმები, საჩივრებთან დაკავშირებით ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განკარგულებები ქართულ და ინგლისურ ენებზე ოპერატიულად ქვეყნდებოდა, რაც მისი მუშაობის გამჭვირვალებას ზრდიდა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა თავიანთი მოვალეობები კომპეტენტურად შეასრულეს და მათ არჩევნებისთვის მზადებისას რაიმე სერიოზული სირთულე არ ჰქონიათ. თუმცა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის განცხადებით ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს და წევრებს გამოცდილება აკლდათ.

ცესკოს სასწავლო ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ტრენინგები ჩაატარა, სადაც მაღალი დასწრება აღინიშნებოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიისა და ტრენინგებზე დამსწრე საზოგადოების განცხადებით, ტრენინგის მასალები ყოვლისმომცველი და კარგად შედგენილი, ხოლო თავად ტრენინგები კი ინტერაქტიული იყო, მონაწილეებმა აღნიშნული ტრენინგები პოზიტიურად შეაფასეს.<sup>16</sup> გარდა ამისა, ტრენინგები სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც ჩაუტარდათ, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს, სახალხო დამცველის აპარატის და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს, მედიის წარმომადგენლებს, ადგილობრივ დამკვირვებლებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს.

სხვადასხვა საარჩევნო საკითხებზე ცესკოს ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია საზოგადოებრივი და კერძო მედიის საშუალებით გადაიცემოდა. ამაში შედიოდა საინფორმაციო გამოშვებები უმცირესობებისა და ქუსტების ენაზეც. ცესკომ არჩევნებში შეზღუდული უნარების მქონე პირების მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტის რამოდენიმე გზას მიმართა. მხედველობადაქვეითებული ამომრჩევლების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშესაწყობად ყველა საარჩევნო უბანზე ბრეილის შრიფტით დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენები იქნა შეტანილი. გარდა ამისა 302 საარჩევნო უბანზე უნარშეზღუდული ამომრჩევლებისთვის პანდუსები და 800 სპეციალური საარჩევნო კაბინა იქნა მოწყობილი.

## VII. ამომრჩევლების რეგისტრაცია

ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება გააჩნია. იმ მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს მიერ არაკომპეტენტურად არიან აღიარებული ან პირები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო (მსუბუქი დანაშაულების გარდა) სასჯელს იხდიან ციხეში, არჩევნებში ხმის მიცემის

<sup>16</sup> როგორც ეს სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში განთავსებულმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს.

უფლება არ აქვთ.<sup>17</sup> ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა სიის შედგენაზე, რომელიც ეფუძნება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.<sup>18</sup> ცესკომ ამომრჩეველთა საბოლოო სრული რაოდენობა გამოაქვეყნა: 3,537,719. მათ შორისაა 48,458 საზღვარგარეთ რეგისტრირებული ამომრჩეველი.

2013 წლის აგვისტოში დაახლოებით 98,000 ამომრჩეველი ამოღებული იქნა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სიიდან არასრული მონაცემების ან არასწორი მისამართის არსებობის გამო.<sup>19</sup> ამომრჩეველთა სიებში კვლავ მოსახვედრად ამ ამომრჩევლებს 10 ოქტომბრამდე უნდა გაევიდოთ ხელახალი რეგისტრაცია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არაადეკვატურად შეზღუდული დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ამ ამომრჩევლების დროულად ინფორმირება და მათი ხელახალი რეგისტრაცია მოეხდინა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გამოაცხადა, რომ საბოლოო ვადის ამოწურვამდე რეგისტრაციიდან მოხსნილი 9,142 ამომრჩეველი ხელახლა იქნა დარეგისტრირებული. ცესკოს მონაცემებით, არჩევნების დღეს სატელეფონო ცხელ ხაზზე დაახლოებით 150 ზარი შემოვიდა იმ ამომრჩევლებისგან რომლებსაც რეგისტრაციის მოხსნის გამო არჩევნებში ხმის მიცემის საშუალება არ მიეცათ.

*სასურველია, რომ ამომრჩეველთა სიაში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის უფლების გაუქმება შეიძლება მოჰყვეს, საკმარისად ადრეულ ეტაპზე განხორციელდეს, რათა შესაბამის უწყებებს საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად და ამომრჩევლების ხელახალი რეგისტრაციისთვის საკმარისი დრო მიეცეთ.*

<sup>17</sup> ის მოქალაქეები, რომლებიც ციხეში ხუთწლიან ვადაზე მეტს სასჯელს იხდიან, ვერ სარგებლობენ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით. ეს შედარებით შემსუბუქებული ნორმაა პატიმრების საარჩევნო უფლებების იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შედეგად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ იქნა შეცვლილი. იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის 1 შუალედური ანგარიში, რომელიც საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებს ეხება.

<sup>18</sup> თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულების და იურიდიული დახმარების სამინისტრო, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და უზენაესი სასამართლო. საარჩევნო კოდექსის 184-ე მუხლის მიხედვით, ამომრჩეველთა ბიომეტრიული სიები 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს იქნება გამოყენებული, რაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

<sup>19</sup> ცესკომ აღნიშნა რომ უცხოეთში არსებული ამომრჩევლების გამოკლებით რეგისტრაცია გაუქმებული ამომრჩევლების რეალური ოდენობა დაახლოებით 75,000-ს უდრიდა. რეგისტრაცია გაუქმებულ ამომრჩევლებს სპეციალური დებულებების მეშვეობით 2010 და 2012 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება ჰქონდათ, თუმცა პარლამენტის გადაწყვეტილებით აღნიშნული დებულებები ამ არჩევნებზე გამოყენებული არ ყოფილა.

ამომრჩეველთა სიები საუბნო საარჩევნო კომისიებში იქნა გამოკრული, რათა საზოგადოებას მათი გაცნობის საშუალება ჰქონოდა, მათში ცვლილებების შეტანა 11 ოქტომბრამდე იყო შესაძლებელი. გარდა ამისა საუბნო საარჩევნო კომისიებმა ამომრჩეველებისთვის განკუთვნილი ორი სახის საინფორმაციო ბარათები გაავრცელეს. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებს ეხებოდა, საუბნო საარჩევნო კომისიებმა ამომრჩეველები დარეგისტრირებულ საცხოვრებელ ადგილებში ვერ იპოვეს. საარჩევნო ადმინისტრაციის მონაცემებით, საუბნო საარჩევნო კომისიებში და ცესკოს ვებსაიტზე ძალიან ცოტა ამომრჩეველმა მოახდინა საკუთარი თავის ამომრჩეველთა სიაში გადამოწმება. ცესკოს ინფორმაციით ამომრჩეველთა სიებში სულ 3,079 შესწორება იქნა შეტანილი, რომლებიც ძირითადად სახელების, დაბადების თარიღების და რეგისტრირებული მისამართების ცვლილებას გულისხმობდა. მთლიანობაში, ამომრჩეველთა სიების ხარისხის მიმართ ნდობა არსებობდა.

ცესკომ საარჩევნო ოლქები კანონით დადგენილ ვადებში განსაზღვრა. თუმცა რადგან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამომრჩეველთა განახლებული სიები ცესკოს დაგვიანებით მიაწოდა და რადგან საარჩევნო ოლქების საზღვრები უკვე დადგენილი იყო, რამოდენიმე საარჩევნო უბანზე კანონით დადგენილ ლიმიტზე (მაქსიმუმ 1,500 ამომრჩეველი ერთ უბანზე) მეტი ამომრჩეველი იქნა დარეგისტრირებული.

## VIII. კანდიდატების რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 35 წელი, აქვს ხმის მიცემის უფლება, უცხოურია საქართველოში მინიმუმ ხუთი წელი (მათგან სამი წელი - არჩევნების გამოცხადებამდე), შეიძლება არჩეული იყოს საქართველოს პრეზიდენტად. ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ეს მოთხოვნები არაპროპორციულია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>20</sup>

***საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ზედმეტად შემზღვედა და სასურველია რომ მათი გადახედვა და შემცირება მოხდეს.***

კანდიდატთა რეგისტრაციას ზედამხედველობას ცესკო უწევდა, აღნიშნული პროცესი გამჭვირვალედ და ინკლუზიურად წარიმართა. საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელება პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ, საპრეზიდენტო არჩევნებში

<sup>20</sup> „იმ პირებს, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ზოგადად გააჩნიათ, არ უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნების გამო როგორებიცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი, წარმოშობა ან პოლიტიკური კუთვნილება“. იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის ზოგადი შენიშვნა #25-ის 14-ე პარაგრაფი (1996). ასევე იხილეთ 2011 წლის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის „ერთობლივი დასკვნის“ 26-27-ე პარაგრაფები (# 617/2011).

კანდიდატებად დარეგისტრირება ასევე დამოუკიდებელ კანდიდატებსაც შეეძლოთ.<sup>21</sup> მთლიანობაში საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის მიზნით ცესკოში განცხადება 12 პოლიტიკური პარტიისა და 42 დამოუკიდებელი კანდიდატისგან იქნა მიღებული. ყველა კანდიდატს რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობის მინიმუმ 0.75 პროცენტის ხელმოწერების შეგროვება და წარმოდგენა (რაც 26,530 ამომრჩეველს უდრის) მოეთხოვებოდა, რაც კარგი საერთაშორისო პრაქტიკის ნორმებს შეესაბამება.

23 სექტემბერს ცესკომ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 23 კანდიდატი იქნა დარეგისტრირებული; 10 მათგანი პოლიტიკური პარტიების მიერ იყო წარდგენილი, ხოლო 13 კი დამოუკიდებელი კანდიდატი იყო.<sup>22</sup> ცესკოში განცხადება ხუთმა ქალმა კანდიდატმა შეიტანა, აქედან სამის რეგისტრაცია მოხდა და მხოლოდ ერთი მათგანი იყო პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი.

შვიდმა კანდიდატმა თავად მოხსნა კანდიდატურა, 24 მსურველს კი რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ, ზოგიერთ მათგანს უარი იურიდიული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ეთქვათ.<sup>23</sup> ცხრა მსურველმა რეგისტრაციაზე უარი ცესკოში გაასაჩივრა, მათგან ოთხი სარჩელი ორმაგი მოქალაქეობის გამო რეგისტრაციაზე უარს ეხებოდა, კანონის მიხედვით ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს არ შეუძლია პრეზიდენტის პოსტის დაკავება.<sup>24</sup> კანონი ნათლად არ განასხვავებს ერთმანეთისგან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან

<sup>21</sup> დამოუკიდებელი კანდიდატები მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფების მიერ იყვნენ წარდგენილი.

<sup>22</sup> პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატები: აკაკი ასათიანი (ქართველი ტრადიციონალისტების კავშირი), დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო), კობა დავითაშვილი (სახალხო პარტია), სერგო ჯავახიძე (მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის), ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები), გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო), თეიმურაზ მჭავია (ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია), შალვა ნათელაშვილი (საქართველოს ლეიბორისტული პარტია), გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა). დამოუკიდებელი კანდიდატები: ნუგზარ ავალიანი, თამაზ ბიბილური, თეიმურაზ ბობოხიძე, ლევან ჩაჩუა, ნინო ჭანიშვილი, გიორგი ჩიხლაძე, მამუკა ჭოხონელიძე, ქართლოს დარიბაშვილი, ნესტან კირთაძე, გიორგი ლილუაშვილი, ავთანდილ მარგიანი, მამუკა მელიქიშვილი, მიხეილ სალუაშვილი.

<sup>23</sup> ამ 24-დან 5-ს ორმაგი მოქალაქეობის გამო ეთქვა უარი რეგისტრაციაზე; 12-ს უარი ეთქვა იმის გამო, რომ დადგენილ ვადებში არ წარმოადგინეს მხარდამჭერთა სიები; ერთს უარი ეთქვა იმის გამო, რომ წარმოადგინა მხარდამჭერთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობის ხელმოწერები; სამს უარი ეთქვა არასრული დოკუმენტაციის წარდგენის გამო; ორს - მხარდამჭერთა სიებში არსებული უზუსტობების გამოუსწორებლობის გამო და ერთს - საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო. ორმაგი მოქალაქეობის მქონე კანდიდატებს შორის, რომლებსაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, არიან სალომე ზურაბიშვილი, ტარიელ ხვედელიძე, მერაბ სულიაშვილი, გიორგი გახოკია და ზურაბ წიწუაშვილი.

<sup>24</sup> კონსტიტუციის 29.1<sup>1</sup>-მუხლიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.



და პრეზიდენტის პოსტის დაკავებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ცესკომ და სასამართლოებმა არცერთი ეს სარჩელი არ დააკმაყოფილეს. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმა საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიხედვით შემზღვეველ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>25</sup>

*სასურველია, რომ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების განმსაზღვრელი კრიტერიუმები ნათლად იყოს კანონში მოცემული, ასევე შესაძლებელია მოხდეს იმ დებულებების კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით გადახედვა, რომლებიც ორმაგ მოქალაქეობას საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების ხელის შემშლელ ფაქტორად აქცევს.*

## IX. საარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დაცული იყო სიტყვის, გადაადგილებისა და შეკრების ფუნდამენტური თავისუფლებები და კანდიდატებს შეეძლოთ საარჩევნო კამპანია თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჩატარებინათ. ის ორგანიზაციები და პირები, რომლებთანაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ჰქონდა ურთიერთობა (თანამოსაუბრეები), აღნიშნავენ, რომ ამჟამინდელი საარჩევნო კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილებოდა და რომ ის აშკარად უფრო ნაკლებად პოლარიზებული იყო. საარჩევნო კამპანია პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის პირდაპირი დაპირისპირებიდან, რომელმაც პოლიტიკური სცენა დაჩრდილა, თანდათანობით ძირითად კანდიდატებს შორის შეჯიბრში გადაიზარდა. ამის მიუხედავად, მთელი კამპანიის მსვლელობისას პერსონიფიცირებული პოლიტიკა საჯარო დებატების დროს კვლავაც დომინირებდა, რადგან ქართული ოცნების კანდიდატი და პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან კოჭაბიტაციის დასრულებისკენ მოწოდებებს აკეთებდნენ. 2 სექტემბერს გამოქვეყნებულ ღია წერილში პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც ქართული ოცნების კანდიდატი მოიგებდა არჩევნებს იგი 24 ნოემბრამდე გადადგებოდა თანამდებობიდან, ამ მომენტისთვის იგი ასევე საკუთარ შემცვლელსაც დაასახელებდა.

წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად არჩევნების გამოცხადების დღიდან - 4 ივლისიდან დაიწყო. არჩევნების დღეს კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით არავითარი აკრძალვა არ არსებობს, თუმცა ამ დღეს მედიით წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება იკრძალება. იმ დროს როცა ნინო ბურჯანაძემ (დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო) და გიორგი მარგველაშვილმა (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) წინასაარჩევნო ოფისები მთელი ქვეყნის მასშტაბით გახსნეს და ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასაარჩევნო შეხვედრების ორგანიზება მოახდინეს, დანარჩენი კანდიდატების უმრავლესობამ წინასაარჩევნო კამპანია

<sup>25</sup> იხილეთ „საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსი“-ის 1.1.b პარაგრაფი (ვენეციის კომისია):  
<http://www.venice.coe.int/webforms/documents/CDL-AD%282002%29023rev-e.aspx>.

შედარებით ნელი ტემპებით დაიწყო.<sup>26</sup> ზოგიერთმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადეს, რომ მათი წინასაარჩევნო კამპანიის დაგვიანებით დაწყება ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ ცესკომ მათთვის საარჩევნო ნომრის მინიჭება დააგვიანა. დავით ბაქრაძემ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) წინასაარჩევნო კამპანია მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი პარტიის მიერ ივლისში ორგანიზებული პრაიმერი დასრულდა.

კანდიდატთა სიმრავლის მიუხედავად წინასაარჩევნო კამპანიას დინამიურობა აკლდა. ქვეყნის მასშტაბით აქტიურ კამპანიას მხოლოდ ბატონი მარგველაშვილი, ბატონი ბაქრაძე, ქალბატონი ბურჯანაძე და შედარებით ნაკლებად ბატონი დავითაშვილი (ხალხის პარტია), ბატონი ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტია) და ბატონი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა) ატარებდნენ.<sup>27</sup> კანდიდატების უმრავლესობამ საკუთარი საარჩევნო პროგრამები არჩევნების დღემდე რამოდენიმე კვირით ადრე გამოაქვეყნეს. ორმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ არჩევნების ჩატარებამდე რამოდენიმე დღით ადრე განაცხადეს.<sup>28</sup>

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ტარდებოდა მიტინგები, გამოიყენებოდა გარე რეკლამა (ბილბორდები) და პოსტერები, ფლაერები, იმართებოდა მცირემასშტაბიანი შეხვედრები ამომრჩევლებთან, პრეს-კონფერენციები და შედარებით შეზღუდული მასშტაბით ხდებოდა სოციალური მედიის გამოყენება. კანდიდატების უმრავლესობა ე.წ. „კარდაკარი“-ს ტიპის აქტივობებზე აკეთებდა აქცენტს, რაც ამომრჩევლებთან პირადად შეხვედრის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. შეზღუდული რესურსების და სახელმწიფო დაფინანსებაზე და უფასო საეთერო დროზე წვდომის ნაკლებობის გამო რამოდენიმე დამოუკიდებელმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურების რეკლამირებისთვის კრეატიულ მეთოდებს მიმართეს, მაგალითად მათ კონკურსები გამართეს და სატელევიზიო გასართობ პროგრამებში მიიღეს მონაწილეობა.

ის მიტინგები, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მონიტორინგს დაექვემდებარა, ზოგადად მოწესრიგებულად და მშვიდობიანად მიმდინარეობდა. თუმცა იყო რამოდენიმე შემთხვევა როდესაც

<sup>26</sup> ბატონი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად ქართული ოცნების კოალიციის მიერ იქნა წამოყენებული, მაგრამ რადგან კოალიციებს კანდიდატების დასახელების უფლება არ გააჩნდათ, ფორმალურად იგი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ იქნა დასახელებული.

<sup>27</sup> სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ანგარიშის მიხედვით 1 ივლისიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში პოლიტიკური პარტიების და საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ სულ 819 საჯარო შეხვედრა იქნა ორგანიზებული, ამ შეხვედრების 90% ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს კანდიდატების მხარდასაჭერად გაიმართა.

<sup>28</sup> აღნიშნულმა კანდიდატებმა თავიანთი კანდიდატურები მას შემდეგ მოხსნეს რაც კანდიდატურის მოხსნისთვის დაწესებული ოფიციალური ვადა უკვე ამოწურული იყო, ამიტომ მათი სახელები ბიულეტენებზე მაინც დარჩა.

ამომრჩევლებთან შეხვედრებზე და ინტერვიუებში ქალბატონმა ბურჯანაძემ და ბატონმა ნათელაშვილმა შედარებით მკვახე გამონათქვამები გამოიყენეს, მათი თქმით არჩევნებში მათი გამარჯვების გარდა ნებისმიერი სხვა შედეგი არჩევნების გაყალბების მანიშნებელი იქნებოდა და რომ საკუთარი ხმების დასაცავად ისინი ყველა საჭირო ნაბიჯს მიმართავდნენ.

კანდიდატთა უმრავლესობის წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე მეტად გამოკვეთილი გზავნილი ადამიანის უფლებების პატივისცემა და ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის უზრუნველყოფა იყო. მიუხედავად იმისა რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად პრეზიდენტის პოლიტიკური უფლებამოსილებები საგრძნობლად შეიზღუდა, კანდიდატები ისეთი საკითხების მოგვარებაზე საუბრობდნენ როგორცაა განათლება, დასაქმება და სოციალური კეთილდღეობა. ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა ასევე აქტიურად ფიგურირებდა პროგრამებში. გარდა ამისა, რამოდენიმე კანდიდატის პროგრამაში „სამართლიანობის აღდგენა“ და წინა ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეებისა და მისი ადგილობრივი თუ ცენტრალური ლიდერების სასამართლოს წინაშე წარდგენის მოწოდებებიც აქტიურად ფიგურირებდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა, რომ ბევრი თანამოსაუბრე ამ კამპანიას 2014 წლის მაისის ადგილობრივი არჩევნებისთვის ერთგვარ სამზადისად აღიქვამდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრებზე ქალების დასწრება 25-50%-ის ფარგლებში მერყეობდა. თუმცა კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიაში და პლატფორმებში არ ყოფილა იმ საკითხებზე მსჯელობა, რომლებიც კონკრეტულად ქალებს ეხება, კანდიდატთა უმრავლესობა ძირითადად ქართულ ოჯახში ქალთა ტრადიციულ როლს უსვამდა ხაზს.

***სასურველია, რომ პარტიებმა და კანდიდატებმა განიხილონ გენდერული საკითხების საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის სტრატეგიაში ჩართვის საკითხი, რათა მათ როგორც მამაკაცი ისე ქალი ამომრჩევლების ინტერესების უკეთესად წარმოადგენა შეძლონ.***

ბატონ მარგველაშვილს აქტიურად უჭერდნენ მხარს ქართული ოცნების წევრი პარლამენტარები და მთავრობის წევრები, მათ შორის პრემიერ-მინისტრი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს სატელევიზიო სიუჟეტებში ხშირად ჩნდებოდა. ბატონი მარგველაშვილი კოალიციური მთავრობის მიღწევებს უსვამდა ხაზს და იმ პროგრამებზე საუბრობდა, რომლებიც ჯერ განსახორციელებელი იყო. ბატონი მარგველაშვილი ასევე ხაზს უსვამდა პრემიერ-მინისტრის მიერ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში წარსულში შეტანილ და მომავალში შესატან წვლილს, მათ შორის მის მიერ ქართულ თანაივესტირების ფონდში ერთი მილიარდი ა.შ.შ. დოლარის შეტანის ფაქტს. ეს ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის ერთერთი მთავარი პოსტულატი იყო.

ამასგან განსხვავებით, დამკვირვებლების შეფასებით ბატონი ბაქრაძე გარკვეულ დისტანცირებას ახდენდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თანამდებობებზე არჩეული

ხელმძღვანელობისგან; იგი არ ჩნდებოდა პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, რომელიც ოქტომბერში მეორედ აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ და მხოლოდ რამოდენიმე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პარლამენტარი იღებდა მონაწილეობას ბატონი ბაქრაძის საჯარო შეხვედრებში. მართალია ბატონი ბაქრაძე ხაზს უსვამდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიღწევებს და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსის შენარჩუნების მნიშვნელობას, იგი ასევე აღიარებდა რომ მისი პარტიის მმართველობისას შეცდომები იქნა დაშვებული და იგი უფრო მშვიდობიანი დიალოგის და შერიგების საჭიროებაზე საუბრობდა.

ქალბატონმა ბურჯანაძემ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანია მისი ძირითადი კონკურენტი პარტიების მიმართ ამომრჩეველთა იმედგაცრუებაზე ააგო. ის აცხადებდა რომ ის იყო ერთადერთი კანდიდატი, რომელსაც სამართლიანობის სრულად აღდგენა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზება შეეძლო.

მართალია ამ კამპანიის მანძილზე ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება მთავარი ფაქტორი არ ყოფილა, თუმცა ადგილობრივმა დამკვირვებლებმა უფლებამოსილების არმქონე პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების და ამომრჩეველთა მოსყიდვის რამოდენიმე ფაქტზე ინფორმაცია გაავრცელეს. წინასაარჩევნო კამპანიის საწყის ეტაპზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა რომ მთავრობა სამაგალითო არჩევნების ჩატარებას გეგმავდა.<sup>29</sup> ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შესახებ ყოველგვარი შთაბეჭდილების თავიდან ასაცილებლად ბატონი მარგველაშვილი განათლების მინისტრის პოსტიდან პრემიერ-მინისტრის ზემოდხსენებული განცხადებიდან ცოტა ხანში გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მას ამის გაკეთებას არ ავალდებულებდა.<sup>30</sup>

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მომუშავე უწყებათშორისი კომისია, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ოფიციალური პირებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც საჯარო მოხელეების მიერ განხორციელებული დარღვევების შესახებ ბრალდებების დასაჩივრების განხილვა ევალებოდა, 8 აგვისტოს ხელახლა იქნა ჩამოყალიბებული. ოპოზიციური პარტიების თხოვნის საფუძველზე უწყებათშორისმა კომისიამ პოლიტიკური პარტიებისთვის რეკომენდაციები გამოსცა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ პარტიების წევრებს კონკურენტი კანდიდატების შეხვედრებისთვის ხელის შეშლისგან თავი შეეკავებინათ.<sup>31</sup> პრემიერ-მინისტრის 10

<sup>29</sup> იხილეთ პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის მიმართვა:

[http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=270&info\\_id=37574](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=270&info_id=37574).

<sup>30</sup> პოლიტიკური თანამდებობის მქონე საჯარო ოფიციალურ პირებს, მათ შორის მთავრობის წევრებს, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა კანონით არ ეკრძალებათ.

<sup>31</sup> იხილეთ უწყებათშორისი კომისიის მიერ 2-დან 13 სექტემბრამდე გაცემული რეკომენდაციები:

<http://www.justice.gov.ge/Page/index?code=b59e4e5a-6fd9-41f5-9756-9ff14e84cc9a>.

ივლისის მიმართვის და უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციების მიუხედავად, დაშინების და ხელის შეშლის რამოდენიმე ფაქტს მაინც ჰქონდა ადგილი.<sup>32</sup>

17 ოქტომბერს, როგორც ჩანს ამომრჩევლების მობილიზების მიზნით, პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადებები, რომლებმაც პირდაპირი საფრთხე შეუქმნეს საარჩევნო პროცესს რადგან მან საჯაროდ განაცხადა, რომ მეორე ტურის ჩატარების შემთხვევაში ის ქართული ოცნების კანდიდატს არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნას ურჩევდა.<sup>33</sup> მან ასევე საჯაროდ განაცხადა, რომ ის პირადად იმედგაცრუებული დარჩებოდა თუ ბატონი მარგველაშვილი ამომრჩეველთა 60 პროცენტზე ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებდა. ამ განცხადებას შემდგომში თავად ქართული ოცნების კანდიდატმა დაუჭირა მხარი, რამაც გარკვეული დავა გამოიწვია, რადგან სხვა კანდიდატების მიერ ქართული ოცნების კანდიდატის ეს ქმედება არჩევნების სავარაუდო გაყალბების წამახალისებელ ნაბიჯად იქნა აღქმული.

## X. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და საარჩევნო კოდექსი პოლიტიკური პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსებას არეგულირებენ, გარდა ამისა პარტიების და კამპანიების დაფინანსება სახელმწიფო აუდიტის შესახებ კანონითაც რეგულირდება. აღნიშნული კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების კერძო და სახელმწიფო დაფინანსებას, წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების ფარგლებს, ფინანსური ანგარიშგების და წყაროების გასაჯაროების წესებს არეგულირებენ, გარდა ამისა ამ კანონმდებლობით დაფინანსების წესების დარღვევებისთვის განკუთვნილი სანქციებია გათვალისწინებული. კანონმდებლობაში ყველაზე ბოლო ცვლილებები აგვისტოში იქნა შეტანილი; ამ ცვლილებებში გათვალისწინებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეების მთავარი შენიშვნები და ისინი პარლამენტის მიერ კონსულტაციების საფუძველზე იქნა მიღებული. აღნიშნული ცვლილებების შედეგად კორპორატიული შემოწირულობები ნებადართული გახდა, მოხდა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის დაწესებული სანქციების შემცირება, დაიწია სახელმწიფო დაფინანსების მიღებისთვის საჭირო ზღვარი; გარდა ამისა ამ ცვლილებების მიხედვით იმ საპრეზიდენტო კანდიდატებს, რომლებიც არჩევნების პირველ ტურში 10%-იან ბარიერს გადალახავენ, წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯები აუნაზღაურდებათ. არსებული სამართლებრივი ჩარჩო, მისი სათანადოდ

<sup>32</sup> მათ შორის იყო ინციდენტები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ზუგდიდში, ბათუმში და თბილისში გამართულ პრაიმერებზე; ბატონი ბაქრაძის საჯარო შეხვედრისთვის ხელის შეშლა ხონში (აგვისტო), ზუგდიდში, თეთრიწყაროში და თელავში (სექტემბერი) და თბილისში (ოქტომბერი); ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სამ აქტივისტზე ფიზიკური თავდასხმა თბილისში და მცხეთაში (ოქტომბერი); კასპში ადგილობრივი ხელისუფლების და ტელეკომპანია „მაცეტროს“ წარმომადგენლებზე ზეწოლის შესახებ განცხადებები და ასევე ქუთაისში ამომრჩევლების მისამართით გაგზავნილი მუქარის შემცველი წერილები ოქტომბერში.

<sup>33</sup> ბატონმა ივანიშვილმა მანამდე განაცხადა რომ მისი აზრით ბატონი მარგველაშვილი არჩევნებს პირველივე ტურში მოიგებდა; იხილეთ 2 სექტემბრით დათარიღებული მისი ღია წერილი.



შესრულების შემთხვევაში, მაქსიმალურად ეფექტური შეიძლება იყოს საარჩევნოკამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ზოგიერთი საკანონმდებლო დებულება ორაზროვანი და არათანმიმდევრულია. მათ შორის წყაროების გასაჯაროების და ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ბოლომდე ნათელი არ არის; საარჩევნო პროცესის მანძილზე დარღვევებზე რეაგირების კონკრეტული ვადები არ არის განსაზღვრული; სესხების აღებასთან დაკავშირებული დებულებები არასაკმარისია, ასევე დარღვევებთან დაკავშირებულ სანქციებში გარკვეული არათანმიმდევრულობა არსებობს. გარდა ამისა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში და საარჩევნო კოდექსში და ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა ფინანსური მონიტორინგის მეთოდოლოგიაში არსებული დებულებების 2013 წლის ცვლილებებთან ჰარმონიზება არ მომხდარა.<sup>34</sup>

*წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა კიდევ უფრო დაიხვეწება თუ მასში შემდგომი ცვლილებები შევა რეგულაციებში უკვე აღმოჩენილი შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად და გამჭვირვალების და ანგარიშვალდებულების კიდევ უფრო გასაზრდელად. შეუსაბამოების თავიდან ასაცილებლად სასურველია რომ მოხდეს კანონმდებლობის შესაბამის ცვლილებებთან ჰარმონიზება.*

კანონის მიხედვით ნებისმიერ მოქალაქეს ან იურიდიულ პირს წელიწადში შესაბამისად მაქსიმუმ 60,000 ლარამდე და 120,000 ლარამდე შეუძლია შესწიროს ერთ ან მეტ პარტიას, აღნიშნული შემოწირულობა მხოლოდ საბანკო გადარიცხვის მეშვეობით უნდა მოხდეს.<sup>35</sup> შემოწირულობების ნატურით გაკეთება ასევე ნებადართულია, გარდა ამისა კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მაქსიმუმ 1 მილიონ ლარამდე სესხის აღების უფლებასაც ანიჭებს. იმ დროს როცა ფულადი და ნატურის სახით გაკეთებული შემოწირულობები კანონმდებლობაში კარგად არის დარეგულირებული და ისინი მკაცრ ანგარიშგებას ექვემდებარებიან, სესხების მიღების პროცესს და შემდგომ ანგარიშგებას საკმარისი დამცავი მექანიზმები და რეგულაციები აკლია.<sup>36</sup>

<sup>34</sup> საარჩევნო კოდექსის 2-ე მუხლის მიხედვით ტერმინი „შემოწირულობები“ „ფიზიკური პირების მიერ ჩარიცხულ ფულად სახსრებად“ არის განსაზღვრული, იმ დროს როცა მიმდინარე კანონმდებლობით შემოწირულობების გაკეთება ნებადართულია როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისთვის; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25(1)-ე მუხლის 1 პარაგრაფის მიხედვით, პარტიის/საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს. მაშინ როცა 2-ე პარაგრაფში 0.2 პროცენტზეა საუბარი. გარდა ამისა პოლიტიკური დაფინანსების მეთოდოლოგიის 5-ე, 17-ე, 19-ე, 21-ე, 30-ე, 41-ე, 67-ე და 86-ე მუხლები 2013 წლის ცვლილებებს არ შეესაბამება.

<sup>35</sup> რაც შესაბამისად დაახლოებით 27,270 ევროს და 54,550 ევროს უდრის (2.2 ლარი = 1 ევროს).

<sup>36</sup> იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის „პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების“ 171-ე მუხლი, <http://www.osce.org/odihr/77812>.

*იმისათვის რომ კანონის თანმიმდევრულობა იქნას უზრუნველყოფილი შესაძლებელია რომ პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად მიღებული სესხები იგივე შეზღუდვებს და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს დაექვემდებაროს როგორც შემოწირულობები.*

მართალია კორპორატიულ შემოწირულობებზე აკრძალვა 2013 წელს იქნა გაუქმებული, მაგრამ არცერთ კანდიდატს არცერთი იურიდიული პირისგან არ მიუღია შემოწირულობა. 169 პირმა ჯამში 2,048,360 ლარი შესწირა ქართულ ოცნებას, 398 პირმა სულ 2,332,798 ლარი შესწირა დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განცხადებით პარტიამ 91 პირისგან 403,793 ლარი მიიღო. კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ პარტიისთვის უკანონო შემოწირულობების გაკეთებისთვის სხვადასხვა სანქციას ითვალისწინებს. შემოწირველი ან პარტია შესაძლოა უკანონო შემოწირულობის ორმაგი ოდენობით იქნას დაჯარიმებული თუ მოხდა ამგვარი შემოწირულობის მიღება ან დამალვა; იმ დროს როცა კანონით ნებადართული შემოწირულობების დამალვა ან ანგარიშებში არ შეტანა და ასევე ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა 1,000-დან 2,000 ლარამდე ჯარიმით ისჯება.<sup>37</sup> სანქციები თანმიმდევრული უნდა იყოს, უნდა არსებობდეს დარღვევის ტიპთან კავშირი და პროპორციულობის პრინციპი დაცული უნდა იყოს.<sup>38</sup>

*შესაძლებელია კანონის ცვლილება რათა შემოღებული იქნას პროპორციული და ეფექტური სანქციები წინასაარჩევნო კამპანიის უკანონოდ ან ფარული დაფინანსებისთვის.*

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობა განახორციელოს და სათანადო რეაგირება მოახდინოს კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევაზე. 2013 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევისთვის სანქციების დაწესება და შემოწირული თანხების და ქონების წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გააჩნია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მათ მიერ საარჩევნო პერიოდში 14 კანდიდატთან დაკავშირებული 20 საქმის გამოძიება მოხდა. ორ შემთხვევაში 2,000 ლარის ოდენობის ჯარიმა იქნა დაკისრებული იმის გამო რომ კანდიდატებმა არ აცნობეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საბანკო ანგარიშიდან ფულადი თანხის გამოტანის შესახებ. დანარჩენი შემთხვევები დეკლარაციების არ ჩაბარებასთან, შემოწირულობების ან ხარჯების დაფარვასთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის პოლიტიკური რეკლამის შესყიდვის შესახებ ინფორმაციის არ მიწოდებასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აუდიტის

<sup>37</sup> გარდა ამისა შესაძლებელია შემოწირულობების კონფისკაცია და ბიუჯეტში გადარიცხვა.

<sup>38</sup> იხილეთ „პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების“ 216-ე მუხლი.

სამსახურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ საარჩევნო პროცესზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან აცილების მიზნით, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ დარღვევებზე რეაგირება არჩევნების დღის შემდეგ მოხდებოდა, წინამდებარე ანგარიშის მომზადების მომენტისთვის სასამართლოში ამ მხრივ არცერთი საქმე არ ყოფილა შესული.

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ არ იძლევა კონკრეტულ ვადებს, რომელთა გასვლის შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევაზე რეაგირება მოეთხოვება. ამის გამო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობასთან დაკავშირებით გარკვეული წუხილები გამოთქევს. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა ექვსი წელია.

პარტიების და დამოუკიდებელი კანდიდატების უმრავლესობამ შემოსავლების და დანახარჯების ანგარიშები დადგინებულ ვადაში წარმოადგინა, თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არანაირი ქმედება არ განუხორციელებია იმ სუბიექტებისადმი, რომლებსაც ეს ანგარიშები არ წარმოუდგენიათ. მთლიანობაში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგი ძირითადად არასაკმარისად და ფორმალურად ტარდებოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ კანდიდატების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დეკლარაცია შეისწავლა და აღმოაჩინა რომ მრავალ შემთხვევაში კანდიდატებს ბეჭდურ მასალაზე გაწეული დანახარჯები არ ჰქონდათ დეკლარირებული მაშინ როცა ამ კანდიდატების სარეკლამო პოსტერები მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო გამოკრული. გარდა ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ იმის მიუხედავად, რომ რამოდენიმე კანდიდატმა ნაციონალურ მაუწყებლებში სარეკლამო დრო შეისყიდა, ეს ხარჯები სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დეკლარირებული არ ყოფილა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან უფრო პროაქტიური მიდგომის გამოყენების შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანიის ზედამხედველობის ეფექტურობის გაზრდა იქნებოდა შესაძლებელი.

*ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ კანონმდებლობაში ნათლად იყოს განსაზღვრული წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევაზე რეაგირების ვადები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შემოწმება დეტალურად, ყოვლისმომცველად და დროულად უნდა ტარდებოდეს.*

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ მოეთხოვება ამ ანგარიშების გასაჯაროება, თუმცა



მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნული ანგარიშები თავის ვებ გვერდზე გამოაქვეყნა.<sup>39</sup> გარდა ამისა, კანონით განსაზღვრული არ არის ის ვადები, რომლებშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების ფინანსური დეკლარაციების შემოწმება უნდა მოახდინოს; ამასთან, კანონისახელმწიფო აუდიტის სამსახურს საკუთარი დასკვნების გამოქვეყნებასაც არ ავალდებულებს.<sup>40</sup>

*გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კიდევ უფრო გასაზრდელად სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშების და მის მიერ წარმოებული გამოძიებების შედეგების დროულად გამოქვეყნება ევალებოდეს.*

## XI. მედია

### A. მედია გარემო

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეები მიიჩნევდნენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მედია გარემო უფრო ღია იყო და ჟურნალისტები ყოვლისმომცველად აშუქებდნენ მთავარ პოლიტიკურ მოვლენებს. ნაციონალური მაუწყებლები ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ რჩება. სამ ტელეკომანიას (*რუსთავი 2*, *იმედი* და *მაცსტრო*) მოსახლეობის 60 პროცენტი უყურებს. ბეჭდური მედია მკითხველებს მოსაზრებათა უფრო ფართო სპექტრს სთავაზობს, თუმცა მისი გავლენა ნაკლებია და ხდება ბეჭდურის ონლაინ-მედიით თანდათანობით ჩანაცვლება. მართალია გაუმჯობესებული მედია გარემოს შედეგად თოქ-შოუების, უფასო საეთერო დროის და დებატების მეშვეობით ამომრჩევლებს ინფორმაციის და მოსაზრებების უფრო ფართო სპექტრზე მიუწვდებოდა ხელი, მაგრამ კრიტიკული ანალიზის და ანალიტიკური რეპორტაჟების ნაკლებობა კვლავ იგრძნობოდა.

### B. საკანონმდებლო ბაზა

კონსტიტუცია სიტყვის და პრესის თავისუფლების გარანტიას იძლევა და კრძალავს ცენზურას. კანონი მაუწყებლობის შესახებ ადგენს რომ როგორც საზოგადოებრივმა ისე კერძო მაუწყებლებმა თავიანთი ახალი ამბების გამოშვებებში ყველა შესაბამისი შეხედულებების პლურალისტურად და არადისკრიმინაციულად გაშუქებაუნდა უზრუნველყონ. მართალია საარჩევნო კოდექსით ყველა სუბიექტისთვის თანასწორი უფლებებია გარანტირებული, კანონის მიხედვით მხოლოდ გარკვეულ „კვალიფიციურ“ კანდიდატებს აქვთ წვდომა თანაბარ უფასო საეთერო დროზე და მათ დებატებში მონაწილეობის და უფასო საეთერო დროის გამოყენების თანაბარი პირობები გააჩნიათ. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მაუწყებლებს „კვალიფიციური სუბიექტების

<sup>39</sup> <http://sao.ge/monitoring-service-of-finance/declaration/the-2013-presidential-election>.

<sup>40</sup> „პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების“ 200-ე პარაგრაფით ფინანსური ანგარიშების დროულად გამოქვეყნება არის რეკომენდებული.

მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოებული საქმიანობის საფუძვლიანი და დაბალანსებული გაშუქებისკენ“ მოუწოდებს.

„კვალიფიციურად“ მხოლოდ ის კანდიდატები ან პოლიტიკური პარტიები ითვლებიან, რომლებსაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ხმათა მინიმუმ 4 პროცენტი აქვთ მიღებული ან ბოლო ადგილობრივ არჩევნებში ხმათა მინიმუმ 3 პროცენტი აქვთ დაგროვებული.<sup>41</sup> ამ განსხვავებამ „კვალიფიციურ“ კანდიდატებს მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა, ხოლო არაკვალიფიციურ კანდიდატებს იმავე დონეზე კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა შეუზღუდა. არაკვალიფიციურმა კანდიდატებმა აღნიშნული განსხვავება გააკრიტიკეს და საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში მას „თვითნებური“ უწოდეს, მათ პრეს-კონფერენცია გამართეს და მედიით ყველა კანდიდატის აქტივობის თანაბრად გაშუქება და სახელმწიფოსგან თანაბარი დაფინანსება მოითხოვეს.

„კვალიფიციურ“ კანდიდატებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე საათში 60 წამი, ხოლო თითოეულ კერძო ტელეკომპანიაში (რომლებიც ახალ ამბებს, პოლიტიკურ პროგრამებს ან ფასიან პოლიტიკურ რეკლამებს გადასცემდნენ) 3 საათიდან 90 წამი უფასო საეთერო დროის გამოყენების საშუალება ჰქონდათ. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თითოეულ არაკვალიფიციურ კანდიდატს უფასო საეთერო დროის სახით დღეში 15 წამი გამოუყო (არა-პრაიმტაიმში).

*საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში, სასურველია, რომ მოხდეს არსებული საკანონმდებლო ბაზის (რომლითაც „კვალიფიციური“ კანდიდატებისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფა რეგულირდება) და „კვალიფიციური სუბიექტების“ იურიდიული განსაზღვრების გადახედვა, რათა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს, კონკრეტულად კი დამოუკიდებელ კანდიდატებს, უფასო საეთერო დრო უფრო ინკლუზიურად გამოეყოთ. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ყველა კანდიდატს საკუთარი გზავნილების თავისუფლად გადაცემის საშუალება ჰქონდეს და უფრო თანასწორი პირობების შესაქმნელად, შესაძლებელია არაკვალიფიციური კანდიდატებისთვის მინიმალური საეთერო დროის გამოყოფის საკითხის განხილვა.*

საარჩევნო კოდექსი ნებას რთავს, თუმცა არ ავალდებულებს, მაუწყებლებს „კვალიფიციურად“ ჩათვალონ პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული ის კანდიდატები, რომლებმაც არჩევნებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევებში (ან არჩევნების წელს ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის ხუთ კვლევაში) 4 პროცენტზე მეტი ხმა მიიღეს. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 10 ოქტომბრიდან, ხოლო აჭარის ტელევიზიამ კი 18 ოქტომბრიდან ქალბატონი ბურჯანაძე კვალიფიციურ კანდიდატად ჩათვალეს. თუმცა კერძო ტელემაუწყებლებს მისთვის უფასო საეთერო არ გამოუყვიათ.

<sup>41</sup> მათ შორის იყვნენ გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო), დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), კობა დავითაშვილი (ხალხის პარტია), სერგო ჯავახიძე (მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის), გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა), ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები) და თეიმურაზ მჭავია (ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია).

*სასურველია რომ მოხდეს იმ დებულებების გადახედვა და დაზუსტება, რომლითაც მაუწყებლებს უფლება ეძლევათ (თუმცა არ ევალებათ) საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე ჩათვალონ კანდიდატები „კვალიფიციურად“, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ დებულების შესრულებაზე უარი ან რაიმე არათანმიმდევრულობა მათი შესრულებისას.*

უფასო საეთერო დროსთან ერთად კერძო ტელეკომპანიებში სარეკლამო დროის შესასყიდად ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 600,000 ლარის, ხოლო ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს 100,000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება ჰქონდათ.<sup>42</sup> მართალია მათ აღნიშნული დაფინანსება არ გამოუყენებიათ, მაგრამ საკანონმდებლო ბაზაში ამგვარი დებულებების არსებობამ კიდევ უფრო შეამცირა თანაბარი პირობები კანდიდატებისთვის.

*შესაძლებელია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში არსებული იმ დებულებების გადახედვის საკითხის განხილვა, რომელთა ფარგლებშიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ გარკვეული პარტიების მიერ ნომინირებული კანდიდატებისთვის გამოიყოფა.*

მაუწყებლობის შესახებ კანონში შესული ცვლილებების შედეგად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა 15-დან 9-მდე შემცირდა, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული საბჭოს კანდიდატების შერჩევის უფლებამოსილება პრეზიდენტიდან პარლამენტს და სახალხო დამცველს გადაეცა. მანამდე საბჭოს ახალი წევრების დამტკიცება შეუძლებელი იყო იმის მიუხედავად რომ საბჭოს რამოდენიმე წევრის უფლებამოსილების ვადა 1 სექტემბერს ამოიწურა, ხოლო კიდევ ორი წევრი ცოტა ხნის შემდეგ გადადგა, რამაც სამეურვეო საბჭო საჭირო ქვორუმის გარეშე დატოვა.<sup>43</sup> ქვორუმის არ არსებობის გამო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ ვერ შეძლო მაუწყებლის გენერალური დირექტორის არჩევა და 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, რამაც ფინანსური კრიზისი გამოიწვია და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების შესაძლებლობა შეზღუდა. საზოგადოებრივ მაუწყებელში შიდა კონფლიქტის შედეგად რამოდენიმე ცნობილი ჟურნალისტი იქნა სამსახურიდან განთავისუფლებული, ხოლო რამდენიმე პოპულარული თოქ-შოუ დაიხურა.

სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელი მთავარი ორგანო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაა, რომელიც სამაუწყებლო მედიის რეგულირებას

<sup>42</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის მიხედვით, სატელევიზიო რეკლამებისთვის დამატებითი დაფინანსება იმ პარტიებს გამოეყოფათ, რომლებსაც ზოგადი სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნით და რომლებმაც თავიანთი საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელეს. ამ კრიტერიუმებს მხოლოდ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აკმაყოფილებდნენ.

<sup>43</sup> საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს რამოდენიმე წევრის განცხადებით, ქართული ოცნება მათზე ზეწოლას ახდენდა და მათ გადადგომას ითხოვდა.

ახდენს და წინასაარჩევნო კამპანიის დროს მის ქცევას უწევს ზედამხედველობას, გარდა ამისა კომისია მედიის მონიტორინგსაც ახორციელებს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აღმოჩენილ დარღვევებზე და საჩივრებზე რეაგირებისთვის 48 საათიანი პერიოდი გააჩნდა და მას პოლიტიკური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრების უფლებაც გააჩნდა. თუმცა კომისიას მედიაში (ახალი ამბების გამოშვებებში და თოქ-შოუებში) მიკერძოებულ ან არასრულ გაშუქებაზე რეაგირების უფლება არ ჰქონდა. ამგვარი საკითხების განხილვა შესაბამისი მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოებს უნდა მოეხდინათ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე მედიის ზედამხედველობის მხრივ პასიური როლი ითამაშა, რამაც გამჭირვალეობა და ეფექტურობა შეზღუდა. კომისიამ მედიის მონიტორინგი წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებიდან ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ - 7 სექტემბერს დაიწყო. არჩევნებამდე კომისიას მონიტორინგის შედეგები არ წარმოუდგენია, მისი ხუთი შუალედური ანგარიში მხოლოდ 28 ნოემბერს გამოქვეყნდა. ეს ბალებს კითხვებს იმის შესახებ თუ რამდენად შეუძლია კომისიას სავარაუდო დარღვევების აღმოჩენა და მედიისთვის რეკლამების ეთერში გაშვებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის გამოსწორებისთვის შესაბამისი ვადების მიცემა. მოგვიანებით გამოცემული აღნიშნული ანგარიშები საზოგადოებას მაინც არ აძლევს წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე მედიის მიუკერძოებლობის შესახებ ინფორმაციას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიხედვით, მას არჩევნებთან დაკავშირებით ოფიციალურად არავითარი საჩივარი არ მიუღია, თუმცა მას მიაწოდეს ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებასთან დაკავშირებული მცირე დარღვევის თაობაზე.

*სასურველია საარჩევნო პროცესში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის როლის გადახედვა, მათ შორის სასურველია მის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნებისთვის გონივრული კანონიერი ვადების დადგენა, რათა მედიის მიერ დაშვებული დარღვევების დროულად აღმოფხვრის საშუალება გაჩნდეს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტიურობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასურველია კომისიისთვის მედიის მიერ თანასწორი წვდომის და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების ხელყოფისთვის (რომელიც მისი მონიტორინგის შედეგად იქნება აღმოჩენილი) გარკვეული სანქციების დაწესების უფლების მინიჭებაზე მსჯელობა.*

### C. მედია მონიტორინგის შედეგები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებულმა მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ ყველა მედია საშუალება თოქ-შოუების, ახალი ამბების გამოშვებების და უფასო საეთერო დროის მეშვეობით ამომრჩევლებს შეხედულებების და ინფორმაციის მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობდა; მედია საშუალებები არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს საკუთარი

პროგრამების და მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას აძლევდნენ.<sup>44</sup> კანონმდებლობაში მედიაზე თანაბარ წვდომასთან დაკავშირებული გარანტიების არსებობის მიუხედავად, უფასო საეთერო დროით მხოლოდ გარკვეული კვალიფიციური სუბიექტები სარგებლობდნენ, მედიის ძირითადი საშუალებები ყველა ძირითადი კანდიდატის კამპანიას ინკლუზიურად აშუქებდა. თუმცა, პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატებს დამოუკიდებელ კანდიდატებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნდათ, რადგან მედია საშუალებები უფრო ძირითადი პოლიტიკური პარტიების აქტივობებზე ამახვილებდნენ ყურადღებას ვიდრე თავად კანდიდატების კამპანიებზე.

გარდა ამისა, ყველა საზოგადოებრივმა და კერძო ნაციონალურმა ტელეარხმა პრემიერ მინისტრის, პოლიტიკურ ექსპერტებს და ჟურნალისტებს შორის ჩატარებული სამი შეხვედრა პირდაპირ ეთერში გადასცა, საბოლოო ჯამში ეთერში გადაცემული ეს შეხვედრები 11 საათს გაგრძელდა. ამ შეხვედრების და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და „იმედზე“ გასული ორი ხანგრძლივი ინტერვიუს დროს პრემიერმინისტრი ექსპერტების მიერ გაწეულ სამუშაოს და ჟურნალისტების მიერ მთავრობის და წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას აკრიტიკებდა და ღიად ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას ბატონი მარგველაშვილის სასარგებლოდ, რაც ფაქტიურად მისთვის დამატებითი საეთერო დროის გამოყოფის ტოლფასი იყო.

ახალი ამბების გამოშვებებში ძირითადი კანდიდატების საქმიანობის თანაბრად გაშუქება მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე მოხდა. ბატონი ბაქრაძის, ქალბატონი ბურჯანაძის, ბატონი მარგველაშვილის და ბატონი თარგამაძის წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას თანაბარი დრო დაეთმო (თითოეულს საერთო დროის დაახლოებით 12-დან 15-მდე პროცენტი დაეთმო). სხვა კვალიფიციური კანდიდატების - ბატონი დავითაშვილის, ბატონი ხარატიშვილის, ბატონი მჟავიას და არაკვალიფიციური კანდიდატების ბატონი ნათელაშვილის და ქალბატონი კირთაძის საქმიანობის გაშუქებას საერთო დროის დაახლოებით 6-დან 8 პროცენტამდე დაეთმო (საუბარია თითოეული კანდიდატისთვის დათმობილ დროზე). საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მიერ კანდიდატების საქმიანობის გაშუქების ტონი ძირითადად დადებითი და ნეიტრალური იყო.

ყველა ის კერძო მაუწყებელი, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგს დაექვემდებარა, ძირითადად ბატონი მარგველაშვილის და ბატონი ბაქრაძის აქტივობებზე ამახვილებდა ყურადღებას. კერძო ტელეარხებს შორის „რუსთავი 2“ ყველაზე აქტიურად აშუქებდა წინასაარჩევნო კამპანიას. ამ ტელეარხზე ბატონი ბაქრაძის აქტივობების გაშუქებას საერთო დროის 28 პროცენტი, ხოლო ბატონი მარგველაშვილის აქტივობების

<sup>44</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგით წინასაარჩევნო კამპანიის ხუთი კვირა (23 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდი) იქნა დაფარული. მონიტორინგის განხორციელებისას ძირითადი ყურადღება ექვსი ტელეარხის პრაიმტაიმში (18:00-დან 24:00-მდე) წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას დაეთმო, ეს ტელეარხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „აჭარის ტელევიზია“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „მესტრო“ და „კავკასია“.

გამუქებას 24 პროცენტი დაეთმო. ტელეკომპანია „იმედზე“ წინასაარჩევნო კამპანიის გამუქებას შედარებით ნაკლები დრო დაეთმო. მართალია „იმედმა“ ბატონი ბაქრაძის აქტივობების გამუქებას ბატონი მარგველაშვილის კამპანიის გამუქებაზე თითქმის ორჯერ მეტი (შესაბამისად 32 და 17 პროცენტი) დაუთმო, მაგრამ ბატონი ბაქრაძისადმი დათმობილი დროის დიდი ნაწილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 5 ოქტომბერს გამართული კრების პირდაპირ ეთერში გამუქებამ შეადგინა. ორივე მაუწყებელზე კანდიდატების საქმიანობის გამუქების ტონი ძირითადად პოზიტიური და ნეიტრალური იყო.

ტელეკომპანია „მესტრომ“ ძირითადი კანდიდატების აქტივობები უფრო ნეიტრალურად გააშუქა და ბატონ ბაქრაძეს (27 პროცენტი) და ბატონ მარგველაშვილს (26 პროცენტი) დაახლოებით თანაბარი დრო დაუთმო. ტელეკომპანია „კავკასია“ აშკარად ბატონ მარგველაშვილს ანიჭებდა უპირატესობას, რადგან ამ კანდიდატის საქმიანობის გამუქებას „კავკასიის“ საეთერო დროის 29 პროცენტი დაეთმო და გამუქების ტონი ძირითადად პოზიტიური და ნეიტრალური იყო, ხოლო ბატონი ბაქრაძის აქტივობების გამუქებას 20 პროცენტი დაეთმო და გამუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო. ყველა კერძო მაუწყებელმა ქალბატონ ბურჯანაძის კამპანიის გამუქებას დაახლოებით 14-15 პროცენტი დაუთმო და გამუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო, მაშინ როცა ბატონი თარგამაძის აქტივობების გამუქებას დაახლოებით 11-12 პროცენტი დაეთმო და გამუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო.

ბათუმში მოქმედი „აჭარის ტელევიზია“ ძირითადად რეგიონული საკითხების გამუქებაზე ახდენდა აქცენტს, რის შედეგადაც წინასაარჩევნო კამპანიის გამუქებას ნაკლები დრო ეთმობოდა. თუმცა როდესაც „აჭარის ტელევიზია“ წინასაარჩევნო კამპანიის გამუქებას ახდენდა, უპირატესობა ბატონ მარგველაშვილს ენიჭებოდა, რომლის საქმიანობის გამუქებას 14 პროცენტი დაეთმო და გამუქების ტონი ძირითადად დადებითი იყო. არცერთი სხვა კანდიდატის კამპანიის გამუქებას არ დათმობია საეთერო დროის 8 პროცენტზე მეტი. მაგალითად ბატონი ბაქრაძის, ბატონი დავითაშვილის და ბატონი ნათელაშვილის აქტივობების გამუქებას 6-6 პროცენტი დაეთმო, ქალბატონ ბურჯანაძეს შვიდი პროცენტი ხოლო ბატონ თარგამაძეს 8 პროცენტი დაეთმო. ახალი ამბების გამოშვებებში „აჭარის ტელევიზია“ ყველა კანდიდატის ბიოგრაფიას და მათ ძირითად საარჩევნო გზავნილებს აშუქებდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე „კვალიფიციური“ კანდიდატების სხვადასხვა ჯგუფებს შორის სატელევიზიო დებატები ორ ეტაპად 17 და 18 ოქტომბერს გაიმართა. ქალბატონმა ბურჯანაძემ გადაწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა დებატებში, რადგან იგი პირველ ჯგუფში არ მოხვდა, რომელშიც ბატონი მარგველაშვილი და ბატონი ბაქრაძე იყვნენ შეყვანილი.

კერძო ნაციონალურ არხებზე სარეკლამო დროს აქტიურად მხოლოდ ქალბატონი ბურჯანაძე იძენდა. იმ დროს როცა ბატონმა მარგველაშვილმა, ბატონმა ბაქრაძემ, ბატონმა ჩიხლაძემ და ქალბატონმა კირთაძემ სარეკლამო დროის საკმაოდ შეზღუდული რაოდენობა შეიძინეს.

## XII. საჩივრები და აპელაციები

საარჩევნო კოდექსი დავების გადაწყვეტის სწრაფ პროცესს აწესებს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების და აპელაციის შემთხვევებისათვის – საჩივრების შეტანა და გადაწყვეტილებების მიღება ერთი დანსამკალენდარულ დღეში უნდა მოხდეს. საჩივრები სააპელაციო სასამართლოში შედის და ამ ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა.

საჩივრის შეტანა არჩევნების მონაწილე ყველა პარტიის, საარჩევნო ბლოკის და რეგისტრირებული დამკვირვებლების წარმომადგენლებს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლიათ. თუმცა კანონში გარკვეული არათანმიმდევრულობა არსებობს, რადგან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების (დამოუკიდებელი კანდიდატების) მიერ საჩივრის შეტანის უფლება ყველგან დაფიქსირებული არ არის.<sup>45</sup> გარდა ამისა ამომრჩეველებს საჩივრების შეტანა მხოლოდ მათი ამომრჩეველთა სიაში არ შეყვანასთან დაკავშირებით შეუძლიათ.<sup>46</sup> კანონში პირდაპირ არ არის მითითებული რომ საარჩევნო უფლებების დარღვევისას ამომრჩეველს უფლება აქვს საჩივარი საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში შეიტანოს, რაც არ შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას. ცესკომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ იმის მიუხედავად რომ ამომრჩეველს საჩივრის შეტანის უფლება არ აქვს, ამის გაკეთება მისი სახელით საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ან დამკვირვებელს შეუძლია.

*სასურველია რომ კანონში შესწორებები იქნას შეტანილი, რომელთა მიხედვით არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის შეტანის უფლება არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს ექნება. გარდა ამისა, მოქალაქეებს უნდა მიეცეთ მათი საარჩევნო უფლებების შესაძლო დარღვევისას საჩივრის შეტანის უფლება, მათ შორის საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ან ქმედების გასაჩივრების უფლება.*

გარდა ამისა, საარჩევნო კომისიებს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ შეიტანონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საქალაქო ან რაიონულ სასამართლოებში და ადმინისტრაციული სანქციების დაწესება მოითხოვონ იმ საჩივრების საფუძველზე, რომლებიც ქვედა დონის საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ ეხება. შესაბამისი საარჩევნო კომისიის ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ ამგვარი საჩივრების განხილვის საბოლოო ვადა ერთ თვეს, ხოლო სასამართლოსთვის დაწესებული საბოლოო ვადა თხუთმეტ დღეს შეადგენს.<sup>47</sup> მართალია დავების აღნიშნულ ვადებში გადაწყვეტა ყოველთვის საარჩევნო პერიოდში

<sup>45</sup> იმ დროს როცა საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრულია ის თუ ვის აქვს სხვადასხვა ტიპის საკითხებზე საჩივრების შეტანის უფლება, ამ კანონში ამგვარი უფლება ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის (დამოუკიდებელი კანდიდატის) წარმომადგენელს ყველგან არ ენიჭება, რაც არათანმიმდევრულობის მაჩვენებელია.

<sup>46</sup> იხილეთ „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის“ 92-ე პარაგრაფი.

<sup>47</sup> იხილეთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262.1-ე მუხლი.



შეიძლება ვერ მოხერხდეს, მაგრამ ცესკომ და სასამართლოებმა თითქმის ყველა ეს საჩივარი არჩევნების დღემდე გადაწყვიტეს.<sup>48</sup>

არჩევნების დღემდე საოლქო საარჩევნო კომისიებში 34 საჩივარი იქნა შეტანილი, რომლებიც ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიებში წამყვან თანამდებობებზე დანიშვნებს ეხებოდა; ამ საჩივრების უმრავლესობა უარყოფილი იქნა. გარდა ამისა ცესკოში 60 საჩივარი იქნა შეტანილი და მათი უმრავლესობა პოსტერების დაზიანებას და საჯარო ოფიციალური პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას ეხებოდა.<sup>49</sup> კანონის მიხედვით ამგვარი საჩივრების განხილვის და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოებში გადაგზავნის კომპეტენცია შესაბამისად ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს და საუბნო საარჩევნო კომისიებს გააჩნიათ.<sup>50</sup> ამის მიუხედავად ცესკომ ყველა ეს საჩივარი ღია და ინტერაქტიული განხილვების ფარგლებში განიხილა, ამ განხილვების დროს მომჩივან მხარეებს საკუთარი ფაქტების და არგუმენტების წარმოდგენის საშუალება ჰქონდათ, ხოლო ცესკო ამ საჩივრებზე რეაგირებას მაინც ახდენდა იმის მიუხედავად რომ ეს მის იურისდიქციაში არ შედიოდა. ცესკომ საჩივრების უმრავლესობა უარყო, ხოლო ექვსი მათგანი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გადაუგზავნა.<sup>51</sup> ცესკომ ოთხი საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიასაც გადაუგზავნა და მათი სასამართლოში შეტანა სთხოვა, საბოლოო ჯამში აღნიშნული საჩივრები სასამართლოების მიერ იქნა განხილული და უარყოფილი.<sup>52</sup>

<sup>48</sup> იხილეთ „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის“ 95-ე პარაგრაფი.

<sup>49</sup> ცესკოში შეტანილ საჩივრებს შორის 13 საჩივარი რამოდენიმე საჯარო პირის მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონოდ მონაწილეობას ეხებოდა, 3 შემთხვევაში საუბარი იყო პოლიციელების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე; 23 საჩივარი პოსტერების დაზიანებას და 6 საჩივარი ამომრჩეველთა მოსყიდვას ეხებოდა; ხოლო 9 საჩივარი იმ პირების მიერ იყო შეტანილი ვისაც პრეზიდენტობის კანდიდატებად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

<sup>50</sup> საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>(1)</sup>-ე მუხლით ის კომპეტენტური ორგანოებია განსაზღვრული, რომლებიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების შედგენაზე პასუხისმგებელი; ესენია ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები (პოსტერების დაზიანების დროს), ხოლო სხვა დარღვევებთან დაკავშირებით კომპეტენტურ ორგანოებად შესაბამისი საარჩევნო კომისიები ითვლება.

<sup>51</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში შეტანილი ექვსი საჩივარი, რომლითაც ადმინისტრაციული ოქმების შედგენა იყო მოთხოვნილი, შემდეგ ინციდენტებს ეხებოდა: გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაზე გამოფენილი ქართული ოცნების დროშა; რუსთავში გარე განათების ბოძებზე გამოკრული მარგველაშვილის პოსტერები; გურჯაანში, ჩოხატაურში, მცხეთაში და დმანისში ბატონი ბაქრამის პოსტერების დაზიანება. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ არცერთი ეს საჩივარი სასამართლოში არ გადაგზავნილა.

<sup>52</sup> აღნიშნული საჩივრები შემდეგ ინციდენტებს ეხებოდა: პოლიციელების მიერ ზუგდიდში ქართული ოცნების წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება; ადგილობრივი განათლების განყოფილების უფროსის მიერ ქართული ოცნების წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება; ქართული ოცნების მიერ ლენტეხში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ სადღესასწაულო ღონისძიებისას წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება და ერთერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ოზურგეთში ინვალიდებისთვის განკუთვნილი ეტლების დარიცხვა.



**საჩივრების განხილვის არსებული წესები და ამ პროცესში ჩართული ორგანოების იურისდიქცია საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილის მიერ, მათ შორის საარჩევნო კომისიების და არჩევნებში მონაწილეების მიერ, უნდა იქნას პატივისცემული.**

უწყებათშორისმა კომისიამ 10 სხდომაზე 80-ზე მეტი საჩივარი განიხილა, რომელთა შესახებაც მას ზეპირად ან წერილობით ეცნობა, გარდა ამისა უწყებათშორისმა კომისიამ ორი ანგარიში გამოაქვეყნა.<sup>53</sup> საჩივრების უმრავლესობა საჯარო ოფიციალური პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, პოსტერების დაზიანებას და პარტიების აქტივისტების შევიწროვებას ეხებოდა.<sup>54</sup> კომისიამ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარის მისამართით 16 რეკომენდაცია გასცა, მათ შორის ერთერთი რეკომენდაციის მიხედვით ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს საჯარო მოხელეებისთვის ახსნა-განმარტებითი ბარათები უნდა დაერიგებიათ, რომელშიც ახსნილი იქნებოდა რისი უფლება ჰქონდათ მათ წინასაარჩევნო პერიოდში და რომ მათ თავი უნდა შეეკავებინათ სახელმწიფო ორგანოებში დასაქმებული ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლებისგან.<sup>55</sup>

მართალია უწყებათშორისი კომისია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად სასარგებლო ფორუმში აღმოჩნდა, კომისიის მიერ ყველა საჩივრის, მათ შორის მისი იურისდიქციის გარეთ მყოფი საჩივრების, განხილვის პრაქტიკამ საჩივრების საარჩევნო კომისიებში და სასამართლოებში შეტანის მოტივაცია შეამცირა, მიუხედავად იმისა რომ სწორედ ამ ორგანოებს აქვთ სანქციების დაწესების უფლებამოსილება. ამან საერთაშორისო ვალდებულებების და კარგი პრაქტიკის საფუძველზე დავების ეფექტურად განხილვას ხელი ვერ შეუწყო.<sup>56</sup>

**სასურველია რომ იმ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებსაც მათთან შემოტანილი საჩივრების განხილვის იურისდიქცია არ გააჩნიათ, დაუყოვნებლივ მოახდინონ ამ საჩივრების კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაგზავნა. დაინტერესებულმა მხარეებმა საჩივრები კომპეტენტურ ორგანოებში უნდა შეიტანონ, რათა საჩივრების ეფექტურად,**

<sup>53</sup> საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უწყებათშორისი კომისიას საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა და ამ დარღვევებზე რეაგირება ევალება, გარდა ამისა უწყებათშორისი კომისიის უფლება აქვს ნებისმიერ საჯარო მოხელეს, ადმინისტრაციულ ორგანოს და ცესკოს რეკომენდაციით მიმართოს და შესაბამისი ზომების გატარება სთხოვოს.

<sup>54</sup> კანონით მისი მუშაობის ვადები და პროცედურები არ არის განსაზღვრული. უწყებათშორისი კომისიას ინდივიდუალური დავების განსჯა ან სანქციების დაწესება არ შეუძლია. მას არ ევალება ყველა საქმის განხილვა ან წერილობითი პასუხების გაცემა, თუმცა კომისიამ მისი შეხვედრების ოქმები საკუთარ ვებსაიტზე მაინც გამოაქვეყნა.

<sup>55</sup> უწყებათშორისმა კომისიამ რეკომენდაციებით პრეზიდენტს, პარლამენტს, სამინისტროებს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ცესკოს, სასამართლოებს, პროკურატურას და პოლიტიკურ პარტიებს მიმართა. იხილეთ:

<http://www.justice.gov.ge/Page/index?code=b59e4e5a-6fd9-41f5-9756-9ff14e84cc9a>.

<sup>56</sup> იხილეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 2.3.c მუხლი და „საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსის“ 92-199 პარაგრაფები.

### **მიუკერძოებლად და დროულად განხილვა იქნას უზრუნველყოფილი.**

უწყებათშორისმა კომისიამ პროკურატურას საარჩევნო პერიოდის მანძილზე პარტიული აქტივისტების საქმიანობის გამოძიებისგან თავის შეკავების რეკომენდაციით მიმართა. მართალია ამ თხოვნას კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა, მაგრამ ამგვარ რეკომენდაციას საარჩევნო დარღვევების დროულად გამოძიებისთვის ხელის შეშლა შეუძლია. პროკურატურამ არჩევნებთან დაკავშირებული 17 საქმის გამოძიება აწარმოა, ძირითადად ეს გამოძიებები არჩევნებამდე დარჩენილ ორკვირიან პერიოდში ჩატარდა, აქედან 2 საქმე სასამართლოებში იქნა გადაგზავნილი.<sup>57</sup> თუმცა პროკურატურას არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების გამოძიების დასრულებისთვის რაიმე იურიდიული ვადები დაწესებული არ აქვს, რაც საარჩევნო პერიოდში ამ დარღვევებზე იურიდიულად რეაგირების უზრუნველყოფას ვერ ახდენს.

*სასურველია რომ სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსში საარჩევნო დარღვევების გამოძიების და სისხლის სამართლებლივი დევნისთვის კონკრეტული ვადები იყოს გაწერილი, რომლებიც საარჩევნო პერიოდს დაემთხვევა.*

### **XIII. ეროვნული უმცირესობების ჩართულობა**

ეროვნულ უმცირესობებს საქართველოს კონსტიტუციით სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ, 2002 წლის აღწერის მიხედვით ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 16.2 პროცენტს შეადგენენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობებია აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი), რომლებიც ძირითადად სასაზღვრო რეგიონებში არიან კომპაქტურად დასახლებული. საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“.

ამ არჩევნებისთვის, ცესკომ ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სპეციალური სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა, მოაწყო რამდენიმე შეხვედრა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რამდენიმე ვიზიტი განახორციელა. სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდასაჭერად და საარჩევნო პროცესებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გასაზრდელად ცესკომ გრანტები გამოყო. ასევე, უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ცესკომ ტრენინგები, საინფორმაციო კამპანიები და ამომრჩეველთა განათლების პროექტები უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში უმცირესობათა ენებზე ჩაატარა.

ყველა დაინტერესებულ საპრეზიდენტო კანდიდატს ჰქონდა შესაძლებლობა, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, გაეხსნა საარჩევნო ოფისები ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. სამი ყველაზე შესამჩნევი

<sup>57</sup> გამოძიებულ საქმეებს შორის იყო: ფიზიკური შეურაცხყოფის ხუთი შემთხვევა; წინასაარჩევნო ბანერების დაზიანების ორი შემთხვევა; წინასაარჩევნოდ გახსნილი ოფისის ფანჯრების ჩალეწვის ორი შემთხვევა და საოლქო საარჩევნო კომისიისთვის ხელის შეშლის ერთი შემთხვევა.

კამპანია, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს კანდიდატებმა წარმართეს. წინასაარჩევნო პერიოდში ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ზოგადი სიტუაცია მშვიდი იყო და არავითარ მნიშვნელოვან ინციდენტებს არ ჰქონია ადგილი. სახელმწიფო ენაზე შესრულებულ საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად ცესკომ აღნიშნული დოკუმენტაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც გამოუშვა. ცესკოს ვებსაიტზე ინფორმაცია ასევე ავხაზურ ენაზეც ქვეყნდებოდა. საარჩევნო პერიოდის მანძილზე ცესკოში უმცირესობების ენაზე მომუშავე ცხელი ხაზი მოქმედებდა.

#### **XIV. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები**

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ არჩევნებზე დაკვირვებას უშვებს. ცესკომ ამ არჩევნებზე დასაკვირვებლად 60 ადგილობრივი და 63 საერთაშორისო ორგანიზაცია დაარეგისტრირა. მთლიანობაში, ცესკომ აკრედიტაცია 19,746 ადგილობრივ და 1,241 საერთაშორისო დამკვირვებელს მიანიჭა. დამკვირვებლებს საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე დაკვირვების საშუალება ჰქონდათ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, მათ შორის სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ საარჩევნო პროცესის მხარდასაჭერად და არჩევნების მონიტორინგისთვის გარკვეული საქმიანობა გასწიეს. ამაში შედიოდა წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვება, ცესკოს და მედიის მუშაობის მონიტორინგი, ამომრჩეველთა სიების გადამოწმება, ხმების პარალელურად დათვლა, სატელეფონო ცხელი ხაზების და საინფორმაციო ვებსაიტების გახსნა და ასევე არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლების განთავსება. საარჩევნო პროცესის მთელს მანძილზე დიდი რაოდენობით ადგილობრივი დამკვირვებლების ჩართულობამ ზოგადად მთელი პროცესის გამჭვირვალეობა გაზარდა.

გარდა ამისა, არჩევნების დღემდე არჩევნებზე დასაკვირვებლად პარტიების და კანდიდატების 47,000-ზე მეტი წარმომადგენელი იქნა დარეგისტრირებული.

#### **XV. არჩევნების დღე**

არჩევნების დღემ მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნების დღის ყველა ეტაპი ზოგადად დადებითად შეაფასეს, თუმცა დღის განმავლობაში გარკვეულ პროცედურულ უზუსტობებსაც ჰქონდათ ადგილი.

არჩევნების დღეს საერთაშორისო დამკვირვებლები 158 საარჩევნო უბნის გახსნას, 1,489 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესს (სულ დამკვირვებლები 1,654 საარჩევნო უბანს (რიგ შემთხვევაში ზოგიერთ ამ უბანს რამდენიმეჯერაც) ეწვივნენ) და 134 საარჩევნო უბანზე ხმების დათვლის პროცესს დააკვირდნენ. ხმების დაჯამების პროცესზე დაკვირვება 73-ივე საოლქო საარჩევნო კომისიაში მოხდა.

ცესკომ წინასწარი შედეგების გამოქვეყნება არჩევნების ღამეს დაიწყო, აღნიშნული შედეგები უზნების და ოლქების მიხედვით მის ვებსაიტზეც იდებოდა; ეს გამჭვირვალობის ხარისხის კიდევ უფრო ზრდისთვის პოზიტიური ნაბიჯი იყო. წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობამ 46.6 პროცენტი შეადგინა.

ზოგადად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ყველა მის მიერ მონახულულ საარჩევნო უბანზე პარტიების და კანდიდატების წარმომადგენლების და ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი დამკვირვებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა დააფიქსირა. მათი ძალისხმევა გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას შეუწყო ხელი.

#### A. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი

საერთაშორისო დამკვირვებლებმა 158 დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნიდან 147-ში საარჩევნო უბნის გახსნის პროცედურები დადებითად შეაფასეს. 43 უბნის გახსნა დაგვიანდა, თუმცა ამას ხმის მიცემის პროცესზე ზეგავლენა არ მოუხდენია; დაკვირვებას დაქვემდებარებული უბნიდან ხუთი 15 წუთზე მეტი დაგვიანებით გაიხსნა. კანდიდატების და პარტიების წარმომადგენლები 149 უბანზე იმყოფებოდნენ, ხოლო ადგილობრივი დამკვირვებლები უბნების გახსნის პროცესს 119 საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ. თუმცა როგორც პარტიების წარმომადგენლების ისე ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის წარმართვის ან მუშაობაში ჩარევის მცდელობა დაფიქსირდა (შვიდ-შვიდი შემთხვევა). უბნების გახსნისას დაფიქსირებული მცირე დარღვევებს შორის იყო ამომრჩეველთა რაოდენობის არ გამოცხადება და ამ რაოდენობის შესაბამის ოქმებში არ შეტანა (20 შემთხვევა) და ბიულეტენების რაოდენობის წინასწარ ოქმში და ჟურნალში არ შეტანა (23 შემთხვევა).

მთლიანობაში ხმის მიცემის პროცესი კარგად იყო ორგანიზებული და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების უმრავლესობა დღის განმავლობაში თავიანთ სამუშაოს პროფესიონალურად ასრულებდა. საერთაშორისო დამკვირვებლების მიხედვით, დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 97%-ში ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად იქნა შეფასებული, რაც ზოგადად ხმის მიცემის პროცესის დადებით შეფასებას წარმოადგენს. დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 99%-ში დამკვირვებლების მუშაობას ხელი არ შეშლია და მათ საარჩევნო პროცედურებზე თვალის დევნა თავისუფლად შეეძლოთ. ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების უმრავლესობაში იმყოფებოდნენ (შესაბამისად 75 და 99 პროცენტი).

თუმცა ხმის მიცემის პროცესი ნაკლებად პოზიტიურად იქნა შეფასებული გადატვირთულ საარჩევნო უბნებზე (დაკვირვებას დაქვემდებარებული უბნების 6 პროცენტი), აღნიშნული გადატვირთულობა ძირითადად ადგილობრივი დამკვირვებლების და კანდიდატების და

პარტიების წარმომადგენლების დიდი რაოდენობით იყო გამოწვეული, ხშირად ერთი და იმავე კანდიდატს თუ პარტიას ერთდროულად რამოდენიმე წარმომადგენელი ჰყავდა მოვლენილი უბნებზე. დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების სამ პროცენტში აღნიშნული პირების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობაში ჩარევის ან კომისიის მუშაობის წარმართვის მცდელობა იქნა დაფიქსირებული.

გარდა ამისა, გარკვეული შემთხვევების საგანს წარმოადგენდა ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი დამკვირვებლები ამბობდნენ, რომ ისინი კანდიდატების პარტიული წარმომადგენლები იყვნენ (და არა არაპარტიული დამკვირვებლები), რაც სააკრედიტაციო მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს ბადებს. მთლიანობაში, ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დამკვირვებელთა სიმრავლის და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მიერ დამკვირვებლების საქმიანობაზე ზედამხედველობის ნაკლებობის გამო გარკვეულწილად ქაოტური ატმოსფერო იყო შექმნილი.

*რეკომენდებულია, რომ ყველა პარტიის/კანდიდატის წარმომადგენელმა და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ პარტიული და არაპარტიული დაკვირვებას შორის სხვაობას სცეს პატივი და იურიდიულ დებულებებს და სააკრედიტაციო პროცედურებს დაემორჩილოს.*

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების უმრავლესობაში პროცედურები დაცული იყო, თუმცა იყო მარკირების სითხესთან დაკავშირებული მცირე პრობლემებიც. ამომრჩევლების მარკირების შემოწმება ყოველთვის არ ხდებოდა (ხუთი პროცენტი) და ამომრჩევლებს მარკირება არ ჰქონდათ (ოთხი პროცენტი). დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 13 პროცენტში საჯარო ოქმი სწორად არ იყო შევსებული და ამომრჩეველთა რაოდენობა არ იყო დაფიქსირებული ისე როგორც ამას კანონი ითხოვს. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა, მათ მიერ ხმის მიცემის პროცედურების გაგება და პროცესის გამჭვირვალეობა შესაბამისად შემთხვევების 94%, 95% და 97%-ში დადებითად იქნა შეფასებული. მონიტორინგს დაქვემდებარებული საუბნო საარჩევნო კომისიების 56 პროცენტში ამ კომისიების თავმჯდომარეები ქალები იყვნენ.

არჩევნების დღის ზოგიერთი პროცედურა, რომლითაც საარჩევნო უბნების გახსნა, ხმის მიცემა და დათვლა რეგულირდება, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების აზრით პროცესს ართულებს და ამავე დროს გამჭვირვალეობის ხარისხის ამაღლებაში არავითარი ხელშესახები წვლილი არ შეაქვს.<sup>58</sup> გარდა ამისა, პარტიების და კანდიდატების წარმომადგენლების და დამკვირვებლების მიერ საარჩევნო უბნებზე მობილური ტელეფონების გამოყენებას საარჩევნო პროცესში გარკვეული დისონანსი შეჰქონდა.

**სასურველია რომ მოხდეს არჩევნების დღის პროცედურების გადახედვა და გამარტივება, რათა კანონმდებლობიდან ყველა ის პროცედურა იქნას ამოღებული, რომელსაც საარჩევნო**

<sup>58</sup> იხილეთ „საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსის“ 31-ე და 32-ე პარაგრაფები: “ხმის მიცემის პროცედურები მარტივი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ პროცედურების დაცვა მოცემული კრიტერიუმების მიხედვით მოხდეს.”

### *პროცესის გამჭვირვალების ამაღლებაში ხელშესახები წვლილი არ შეაქვს.*

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების ხუთ პროცენტში (მათ შორის სოფლად განლაგებული საარჩევნო უბნების ხუთ და ქალაქებში განლაგებული საარჩევნო უბნების ორ პროცენტში) ჯგუფური/ოჯახების მიერ კოლექტიურად ხმის მიცემის შემთხვევები იქნა დაფიქსირებული. ჯგუფური/ოჯახური ხმის მიცემის შემთხვევები უფრო ხშირად ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში (ეჭვსი პროცენტი) ფიქსირდებოდა, მაშინ როცა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში ეს მაჩვენებელი ოთხ, დასავლეთ ნაწილში ოთხ ხოლო თბილისში კი ორ პროცენტს უდრიდა.

### **B. ხმების დათვლა**

საარჩევნო უბნების უმრავლესობა დროულად დაიხურა, მხოლოდ რვა საარჩევნო უბანი დაიხურა მაქსიმუმ 15 წუთიანი დაგვიანებით. ხმების დათვლის პროცესი დადებითად მონიტორინგს დაქვემდებარებული 134 საარჩევნო უბნიდან 120-ში იქნა შეფასებული. მონიტორინგს დაქვემდებარებულ 129 საარჩევნო უბანში საერთაშორისო დამკვირვებლებს ხმების დათვლის პროცესზე თვალის მიდევნება თავისუფლად შეეძლოთ. ხმების დათვლის პროცესი გამჭვირვალედ მონიტორინგს დაქვემდებარებული 136 საარჩევნო უბნიდან 128-ში იქნა შეფასებული; თუმცა ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიას ხმების დათვლის პროცედურების ცოდნასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ჰქონდათ. საარჩევნო ყუთების გახსნამდე გამოუყენებელი ბიულეტენების სწორად გაუქმება 19 შემთხვევაში არ მომხდარა, ხოლო ამომრჩეველთა სიები და ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტებში 17 შემთხვევაში არ ყოფილა შენახული. 13 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს კონკრეტულ ბიულეტენში დაფიქსირებული არჩევანი ხმამაღლა არ გამოუცხადებიათ, რაც გამჭვირვალების ერთერთი უმთავრესი საზომია, ასევე 18 შემთხვევაში ხმების დათვლის შემდეგ მონაცემების გადამოწმება არ მომხდარა. 21 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიებს შედეგების ოქმის შევსებისას გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, ხოლო 32 შემთხვევაში აღნიშნული ოქმების გამოკვრა არ მომხდარა, რაც კანონით არის მოთხოვნილი.

ხმების დათვლის პროცესის მანძილზე პარტიების და კანდიდატების წარმომადგენლები მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 99, ხოლო ადგილობრივი დამკვირვებლები აღნიშნული უბნების 74 პროცენტში იმყოფებოდნენ.

### **C. ხმების შეჯამება**

ხმების შეჯამების პროცესი კარგად ან ძალიან კარგად 83 შემთხვევიდან 78-ში შეფასდა (73 საოლქო საარჩევნო კომისიაში); ხუთ შემთხვევაში (საოლქო საარჩევნო კომისიებში) ხმების შეჯამება ცუდად ან ძალიან ცუდად შეფასდა. მთლიანობაში, საერთაშორისო

დამკვირვებლებს ხმების შეჯამების პროცესისთვის შეფერხებების გარეშე თვალის დევნების საშუალება ჰქონდათ. საარჩევნო მასალების მიმღები შენობები არაადეკვატურად 16 შემთხვევაში შეფასდა, ხოლო კიდევ 16 შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებში მყოფი ადამიანების დიდი რაოდენობა პროცესზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. მართალია საოლქო საარჩევნო კომისიები საერთაშორისო დამკვირვებლებთან თანამშრომლობისთვის ღია იყვნენ, 9 შემთხვევაში დამკვირვებლებს პროცედურებზე შეუფერხებლად თვალის დევნების საშუალება არ ჰქონდათ. კანდიდატების და პარტიების წარმომადგენლები და ასევე ადგილობრივი დამკვირვებლები მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში იმყოფებოდნენ.

მთლიანობაში, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო მასალების მიღება შესაბამისი პროცედურების დაცვით განახორციელა. იყო რამოდენიმე მცირე დარღვევა, მათ შორის გახსნილი ლუქები (9 შემთხვევა), არასწორად ან არასრულად შევსებული ოქმები (10 შემთხვევა) და საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმებში არსებული მონაცემების არასწორად დაჯამება (9 შემთხვევა).

## **XVI. არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები**

### **A. არჩევნების დღეს შეტანილი საჩივრები და აპელაციები**

არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიებში სულ 320 საჩივარი შევიდა. საჩივრების უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო შედგენილი და ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ოქმების არასწორად შევსებას, ხელმოწერას და ბეჭდის დასმას ეხებოდა. შემთხვევების უმრავლესობაში მომჩივანი მხარეები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წინააღმდეგ დისციპლინარული სანქციების გატარებას ითხოვდნენ. დაახლოებით 100 საჩივარი იქნა დაკმაყოფილებული, რის შედეგადაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების გაფრთხილება მოხდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ამ წევრებს ხელფასის 30 პროცენტი დაუკავეს. დაახლოებით 30 საჩივრით საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ოქმების გაუქმება იყო მოთხოვნილი; აქედან ერთის გარდა ყველა საჩივარი იქნა უარყოფილი, ამ ერთ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ოქმი გაუქმებული იქნა.<sup>59</sup> გარდა ამისა, სამი საჩივარი სასამართლოებში იქნა შეტანილი, მათ შორის ერთი საჩივარი დაკმაყოფილდა, რის

<sup>59</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ეცნობა, რომ მეორე საოლქო საარჩევნო კომისიის 80-ე საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები იმის გამო გაუქმდა, რომ საარჩევნო ყუთი არ ყოფილა დალუქული და ხმების თავიდან გადათვლა არ მომხდარა.

შედეგადაც სამი საუბნო საარჩევნო ოლქის შედეგების შემაჯამებელი ოქმები იქნა გაუქმებული.<sup>60</sup>

არჩევნების დღეს საჩივრების შეტანასთან და განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები ცესკოს სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი დაცვის გარანტიების შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდა. გარდა ამისა ცესკოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში იმ საჩივრების ნიმუშები იქნა დარიგებული, რომელთა შეტანა არჩევნების დღეს შეიძლებოდა. ცესკომ ასევე სარჩელების ავტორებისთვის ცხელი ხაზი აამოქმედა, სადაც მათ საუბნო ან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მათი საჩივრების დარეგისტრირებაზე უარის თქმის შემთხვევაში დარეკვის საშუალება ექნებოდათ.

## B. შედეგების გამოცხადება

12 ნოემბერს ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა და გამოაქვეყნა (იხილეთ დანართი). იქიდან გამომდინარე რომ ყველა საარჩევნო დავა გადაწყვეტილი იყო და საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით სარჩელები შეტანილი არ ყოფილა, ცესკომ არჩევნების შედეგების შეჯამება ვადის ამოწურვამდე ოთხი დღით ადრე მოახერხა.

ბატონმა ბაქრაძემ არჩევნების შედეგები არჩევნების ღამეს “ეგზიტპოლების” გამოცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ აღიარა, ხოლო ქალბატონი ბურჯანაძე წინასწარი შედეგების გამოაქვეყნებას დაელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ აღიარა შედეგები. საბოლოო შედეგების მიხედვით საქართველოს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი იქნა არჩეული, მისი ინაუგურაცია 17 ნოემბერს გაიმართა.

## XVII. რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებშია მოცემული, საქართველოში არჩევნების ჩატარების გაუმჯობესების და მათი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან ბოლომდე შესაბამისობაში მოსაყვანად

<sup>60</sup> ამ საჩივრიდან ერთერთი „ახალი თაობა ახალი ინიციატივის“ მიერ იმ ამომრჩევლის სახელით იქნა შეტანილი, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობაზე უარი იმის გამო უთხრეს, რომ ამომრჩევლთა სიაში მისი სახელის გასწვრივ ხელმოწერა უკვე დაფიქსირებული იყო; კიდევ ერთი საჩივარი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 12-ე საოლქო საარჩევნო კომისიის სამი განკარგულების წინააღმდეგ იყო შეტანილი; კიდევ ერთი საჩივარი „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ იყო შეტანილი, ეს საჩივარი 22-ე საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებებს ეხებოდა, ამ განკარგულებებით ის საჩივრები იქნა უარყოფილი, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორად შევსებული და ხელმოწერილი შემაჯამებელი ოქმების გაუქმება იყო მოთხოვნილი.



არის გაცემული. აღნიშნული რეკომენდაციები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებთან (რომლებიც ჯერ კიდევ შესასრულებელია) ერთად უნდა იქნას წაკითხული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებაში და ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.

#### A. პრიორიტეტული რეკომენდაციები

1. საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში, სასურველია, რომ მოხდეს არსებული საკანონმდებლო ბაზის (რომლითაც „კვალიფიციური“ კანდიდატებისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფა რეგულირდება) და „კვალიფიციური სუბიექტების“ იურიდიული განსაზღვრების გადახედვა, რათა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს, კონკრეტულად კი დამოუკიდებელ კანდიდატებს, უფასო საეთერო დრო უფრო ინკლუზიურად გამოეყოთ. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ყველა კანდიდატს საკუთარი გზავნილების თავისუფლად გადაცემის საშუალება ჰქონდეს და უფრო თანასწორი პირობების შესაქმნელად, შესაძლებელია არაკვალიფიციური კანდიდატებისთვის მინიმალური საეთერო დროის გამოყოფის საკითხის განხილვა.
2. სასურველია რომ კანონში შესწორებები იქნას შეტანილი, რომელთა მიხედვით არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის შეტანის უფლება არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს ექნება. გარდა ამისა, მოქალაქეებს უნდა მიეცეთ მათი საარჩევნო უფლებების შესაძლო დარღვევისას საჩივრის შეტანის უფლება, მათ შორის საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ან ქმედების გასაჩივრების უფლება.
3. საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ზედმეტად შემზღვედა და სასურველია რომ მათი გადახედვა და შემცირება მოხდეს.
4. რეკომენდებულია, რომ ყველა პარტიის/კანდიდატის წარმომადგენელმა და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ პარტიული და არაპარტიული დაკვირვებას შორის სხვაობას სცეს პატივი და იურიდიულ დებულებებს და სააკრედიტაციო პროცედურებს დაემორჩილოს.
5. სასურველია რომ მოხდეს არჩევნების დღის პროცედურების გადახედვა და გამარტივება, რათა კანონმდებლობიდან ყველა ის პროცედურა იქნას ამოღებული, რომელსაც საარჩევნო პროცესის გამჭვირვალების ამაღლებაში ხელშესახები წვლილი არ შეაქვს.

## B. სხვა რეკომენდაციები

### საკანონმდებლო ბაზა

6. სასურველია რომ მოხდეს კანონში ცვლილებების შეტანა რათა მეორე ტურის გამართვის დროს ერთერთი კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურები იქნას განსაზღვრული.
7. სასურველია რომ კანონმდებლობაში ნათლად განისაზღვროს შეიძლება თუ არა საჯარო პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში პასიური მონაწილეობა წინასაარჩევნო აქტივობის ფორმად იქნას ჩათვლილი და ასევე განისაზღვროს აქვთ თუ არა პოლიციელებს ამგვარ ღონისძიებებზე დასწრების უფლება და თუ აქვთ რა პირობებით შეუძლიათ მათ ამის გაკეთება.

### ამომრჩევლების რეგისტრაცია

8. სასურველია, რომ ამომრჩეველთა სიაში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის უფლების გაუქმება შეიძლება მოჰყვეს, საკმარისად ადრეულ ეტაპზე განხორციელდეს, რათა შესაბამის უწყებებს საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად და ამომრჩევლების ხელახალი რეგისტრაციისთვის საკმარისი დრო მიეცეთ.

### კანდიდატების რეგისტრაცია

9. სასურველია, რომ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების განმსაზღვრელი კრიტერიუმები ნათლად იყოს კანონში მოცემული, ასევე შესაძლებელია მოხდეს იმ დებულებების კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით გადახედვა, რომლებიც ორმაგ მოქალაქეობას საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების ხელის შემშლელ ფაქტორად აქცევს.

### საარჩევნო კამპანია

10. სასურველია, რომ პარტიებმა და კანდიდატებმა განიხილონ გენდერული საკითხების საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის სტრატეგიაში ჩართვის საკითხი, რათა მათ როგორც მამაკაცი ისე ქალი ამომრჩევლების ინტერესების უკეთესად წარმოადგენა შეძლონ.

### წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

11. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა კიდევ უფრო დაიხვეწება თუ მასში შემდგომი ცვლილებები შევა რეგულაციებში უკვე აღმოჩენილი შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად და გამჭირვალეობის და ანგარიშვალდებულების კიდევ უფრო გასაზრდელად. შეუსაბამოების თავიდან

ასაცილებლად სასურველია რომ მოხდეს კანონმდებლობის შესაბამის ცვლილებებთან ჰარმონიზება.

12. იმისათვის რომ კანონის თანმიმდევრულობა იქნას უზრუნველყოფილი შესაძლებელია რომ პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად მიღებული სესხები იგივე შეზღუდვებს და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს დაექვემდებაროს როგორც შემოწირულობები.
13. შესაძლებელია კანონის ცვლილება რათა შემოღებული იქნას პროპორციული და ეფექტური სანქციები წინასაარჩევნო კამპანიის უკანონოდ ან ფარული დაფინანსებისთვის.
14. ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ კანონმდებლობაში ნათლად იყოს განსაზღვრული წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევაზე რეაგირების ვადები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შემოწმება დეტალურად, ყოვლისმომცველად და დროულად უნდა ტარდებოდეს.
15. გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კიდევ უფრო გასაზრდელად სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშების და მის მიერ წარმოებული გამოძიებების შედეგების დროულად გამოქვეყნება ევალებოდეს.

## მედია

16. სასურველია რომ მოხდეს იმ დებულებების გადახედვა და დაზუსტება, რომლითაც მაუწყებლებს უფლება ეძლევათ (თუმცა არ ევალებათ) საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე ჩათვალონ კანდიდატები „კვალიფიციურად“, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ დებულების შესრულებაზე უარი ან რაიმე არათანმიმდევრულობა მათი შესრულებისას.
17. შესაძლებელია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში არსებული იმ დებულებების გადახედვის საკითხის განხილვა, რომელთა ფარგლებშიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ გარკვეული პარტიების მიერ ნომინირებული კანდიდატებისთვის გამოიყოფა.
18. სასურველია საარჩევნო პროცესში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის როლის გადახედვა, მათ შორის სასურველია მის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნებისთვის გონივრული კანონიერი ვადების დადგენა, რათა მედიის მიერ დაშვებული დარღვევების დროულად აღმოფხვრის საშუალება გაჩნდეს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტიურობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასურველია კომისიისთვის მედიის მიერ

თანასწორი წვდომის და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების ხელყოფისთვის (რომელიც მისი მონიტორინგის შედეგად იქნება აღმოჩენილი) გარკვეული სანქციების დაწესების უფლების მინიჭებაზე მსჯელობა.

### საჩივრებია და აპელაციები

19. საჩივრების განხილვის არსებული წესები და ამ პროცესში ჩართული ორგანოების იურისდიქცია საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილის მიერ, მათ შორის საარჩევნო კომისიების და არჩევნებში მონაწილეების მიერ, უნდა იქნას პატივისცემული.
20. სასურველია რომ იმ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებსაც მათთან შემოტანილი საჩივრების განხილვის იურისდიქცია არ გააჩნიათ, დაუყოვნებლივ მოახდინონ ამ საჩივრების კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაგზავნა. დაინტერესებულმა მხარებმა საჩივრები კომპეტენტურ ორგანოებში უნდა შეიტანონ, რათა საჩივრების ეფექტურად, მიუკერძოებლად და დროულად განხილვა იქნას უზრუნველყოფილი.
21. სასურველია რომ სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსში საარჩევნო დარღვევების გამოძიების და სისხლის სამართლებლივი დევნისთვის კონკრეტული ვადები იყოს გაწერილი, რომლებიც საარჩევნო პერიოდს დაემთხვევა.

## დანართი: საბოლოო შედეგები

<i>ძირითადი მონაცემები</i>		
ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობა		3,537,719
ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა		1,660,976
გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა		30,101

საარჩევნო ნომერი ბიულეტენზე	სახელი	მიღებული ხმების რაოდენობა	პროცენტი
1	თამაზ ბიბილური	687	0.04
2	გიორგი ლილუაშვილი	1,909	0.12
3	სერგო ჯავახიძე	2,107	0.13
4	კობა დავითაშვილი	9,838	0.6
5	დავით ბაქრაძე	354,103	21.72
6	აკაკი ასათიანი	1,559	0.1
7	ნინო ჭანიშვილი	2,276	0.14
8	თეიმურაზ ბობოხიძე	356	0.02
9	შალვა ნათელაშვილი	46,984	2.88
10	გიორგი თარგამაძე	17,354	1.06
11	ლევან ჭაჭუა	3,093	0.19
12	ნესტან კირთაძე	762	0.05
13	გიორგი ჩიხლაძე	820	0.05
14	ნინო ბურჯანაძე	166,061	10.19
15	ზურაბ ხარატიშვილი	3,718	0.23
16	მიხეილ სალუაშვილი	1,376	0.08
17	ქართლოს ღარიბაშვილი	530	0.03
18	მამუკა ჭოხონელიძე	315	0.02
19	ავთანდილ მარგიანი	627	0.04
20	ნუგზარ ავალიანი	664	0.04
21	მამუკა მელიქიშვილი	995	0.06
22	თეიმურაზ მჟავია	1,285	0.08
41	გიორგი მარგველაშვილი	1,012,569	62.12

## ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის და (...) პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებაში და დაცვაში ისევე როგორც საზოგადოებაში ტოლერანტულობის ხელშეწყობაში“ ეხმარება (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი). მას ასევე „ეუთოს ადამიანურ განზომილებას“ უწოდებენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთში) არის განგალებული, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის“ სახელწოდებით იქნა შექმნილი, მან ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახული ყოფილიყო მისი გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის საკითხებიც შედიოდა. დღესდღეისობით ოფისში 130 ადამიანი მუშაობს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნებზე დაკვირვების სფეროში ევროპაში წამყვანი დაწესებულებაა. ყოველწლიურად ის ახდენს ათასობით დამკვირვებლების სხვადასხვა ქვეყანაში განლაგების კოორდინირებას და ორგანიზებას, რათა შეფასდეს თუ რამდენად შეესაბამება ეუთოში შემავალ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნები ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. თავისი პროექტების მეშვეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ოფისის დემოკრატიზაციის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე დახმარებას უწევს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური

თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ეუთოს ადამიანური განზომილების წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ამის მიღწევა სხვადასხვა პარტნიორებთან მუშაობით ხდება, ამ მუშაობაში შედის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, შესაძლებლობების შექმნა და თემატურ სფეროებში გამოცდილების გაზიერება, ეს სფეროებია: ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განათლება და ტრეინინგი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშგება და ქალთა ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

ტოლერანტულობის და არადისკრიმინაციის მხრივ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს მათ მიერ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და არატოლერანტულობის სხვა ფორმებზე რეაგირების გაძლიერების კუთხით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა, რომელიც ტოლერანტულობას და არადისკრიმინაციას ეხება შემდეგ სფეროებზე ფოკუსირდება: კანონმდებლობა, სამართალდამცავთა ტრეინინგი, სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებზე და ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი, ანგარიშგება და შემდგომი ნაბიჯები; გარდა ამისა ფოკუსირება ხდება საგანმანათლებლო საქმიანობებზე, რომელთა მიზანია ტოლერანტობის, პატივისცემის და ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს რჩევებს აძლევს მათ მიერ ბოშების მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ოფისი ხელს უწყობს ბოშების თემებში შესაძლებლობების და ბიზნეს კონტაქტების შექმნას და მხარს უჭერს ბოშების მიერ პოლიტიკის მწარმოებელი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ეუთოს ინსტიტუტებთან და ადგილზე განხორციელებულ პროგრამებთან ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის და თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).